

კარი ერთოსტელი

კოლხეთი  
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუსა ექისტელი



## კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 26

2020



მთ. რედაქტორი

**ოთარ გორგანია**

ისტორიისიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „ენივერსალი“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-833-5 (26 ტომი)



\* \* \*

ვაკა ეპისტოლი დაიგადა ხოგის რაიონის სრულდ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ ბრეკის სახელმგის მსოფლიო ლიტერატურის ინსიტუტი. ორმოცამდე წიგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცდათა მდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირ ანთოლოგია – „ოქროს მთვარი“, აღმსანდრა სმირნოვა-კოზელივას მონოლოგია – „პრიულველი“ – ალიო მაშავილი“, უცოდო ტიურჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს ბამოვიდა კონტის ათასგვერდიანი, რომ ათასამდე ლექსის მომცველი ერთობებული – „იმპერიალიზმი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რჩებულიკის ბამოვცემლობა „მოლოდინება“ ბამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლეგიალურად“ უსაძღვრება – ს უთობობებულის ათასზე მეტ გვერდიანი კონკურენტი ფოში, რომელშიც რინაირასზე მეტი კონკურენტი მანილება იყო დაგენდილი. 2006, 2007, 2008 წლებში ბამოვიდა კონტის მეორე, მსახურ, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ფოშულები, ხოლო 2011 წელს დაიგენდა კონტის მეხუთე, 1575 გვერდიანი ფოში, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბული.

ვაკეა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონო-ბრაზიანა დაწერილი და ცალკე წიბენებად გამოცემული.

გაეს ებრისებლი საქართველოს და მსოფლიოს რამდენი-  
მე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი ტევრია... 2016 წლიდან  
საქართველოს მფრინავთა, მეცნიერთა და სახოგადო მოდე-  
რათა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-მ და  
საქართველოს ეროვნული აკადემიამ დაიყვა ქართული პო-  
ენის რაინდის, საქართველოს მფრინავთა კაგზირის, ვაქა-  
ზგაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაურევატის,  
დირექტორის ორგენის პავალერის, ქართული კულტურის დესა-  
ნის გედლისა და „დიორსპურია 2005“-ის, მშვიდობის მოწოდების  
ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორგენის მფლობელის,  
სახალხო კოეფის, საქართველოს მფრინავთა მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-  
საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და  
ფაზისის საერთო-სამცნელო აკადემიის პირების პრეზიდენტის.



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიგრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროგვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მღერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაღლა გაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოეჭმა ოქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ მიღროინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულაზ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულივან შესტრი ყოველ ქაბას, ყოველ ძაბხას.“

ა. პუშკინი

## შინასიტყვაობის მაბიტო

(გაგრძელება)

დიახ, იშვიათად ევლინება ეროვნული და ხალასი ნიჭის პოეტი ხალხს. მიუხედავად იმისა, რომ ერთსა და იმავე ეპოქაში მისი სხვადასხვა გამოვლინებანი აშკარად ამჟღავნებენ შინაგან ნათესაობას. მიუხედავად იმისა, რომ მისი ვარიაციები ერთ ეპოქაში ერთსა და იმავე იდეას ეხმაურებიან. იშვიათად დგანან ისინი ძლიერების ერთ საფეხურზე. და ახლა როცა დადგა დრო ყველაფერზე პირუთვნელი, მიუკერძობელი მსჯელობისა, როცა შესაძლებლობა მოგვეცა ზუსტად ვთქვათ ის, რასაც ვფიქრობთ.

ჩემი ღრმა რწმენით ვაუა ეგრისელი თანამედროვე ქართველ პოეტთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული კოლორიტული ფიგურაა, რომელიც ეძებს გზებს



ქავების გადარჩენისათვის. ის ჭეშმარიტი პატრიოტი და პირუთვნელი, მიუკერძოებელი მემატიანეა ჩვენი დღევანდელობისა.

\*

დავიწყების შავ ნიაღვარს,  
სიყრმის წლები მიაქვს  
ტივად...  
ხსოვნის დელე ჩანს ადიდდა,  
რადგან დღეებს ვხედავ მტირალს  
ყორათთან და ჭალადიდთან“.

(„ყორათთან და ჭალადიდთან“).

\*

გარდასულ ქამთა უამურ ამბავს,  
ისევ ფარავს ზღვის  
მაღალი მკერდი,  
თუმცა მის მღვრიე ტალღებში  
მოჩანს  
თმაგაწერილი –  
კივილი დედის  
და ხელგაკრული ხვიჩა და გოჩა.

(„ხვიჩა და გოჩა“).



ყველა ტკივილი, ყველა ვაება დრომ მოიტანა.  
მამულისადმი თავგანწირული სიყვარული ის ძირი-  
თადი ეთნიკური კატეგორიაა, რომელიც ნათლად  
წარმოაჩენს ლირიკული გმირის შინაგან ბუნებას,  
მის ზნეობრივ სახეს, მასთან მიმართებაში აისახება  
მარადიული კონფლიქტი ბოროტსა და კეთილს შო-  
რის. პოეტს ძალა შესწევს არსებობის სიბრძნეც  
ამოიცნოს და ვაჟპაცობაც ჰყოფნის არარაობას გა-  
მომცდელად გაუსწროს თვალი.

ვაჟა ეგრისელისათვის პოეზია სიცოცხლის ჭეშ-  
მარიტი დღესასწაულია, კეთილისათვის თავდადებად  
და მზადაა წინააღმდეგობა ჰარმონიად აქციოს:

„დღისა და დამის ყავარჯნიანი –  
დედამიწა ვარ მე  
და მიგსდევ მნათობს.  
ჩემი სიყვარულია –  
მზე,  
ასე რომ გათბობო“.

ვაჟა ეგრისელი დიადი და ამაღლებულია თავი-  
სი „პოლხური ფსალმუნების“ ხუთტომეულით. პატ-  
რიოტული ლირიკის საგანძურში იმკვიდრებს ად-  
გილს ვაჟა ეგრისელის კოლხური პეზაჟები, კერძოდ  
ის ლექსები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხივნათელი



წინაპრებისადმი არის მიძღვნილი და მაინც აქაა დი-  
დი პოეტის იმედიანი გალობა ერის სვებედნიერ მო-  
მავალზე. იგი როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი წინას-  
წარ გრძნობს მოსალოდნელ ცვლილებებს ერის პო-  
ლიტიკურ ცხოვრებაში და ეძებს გზებს, ახალ ორი-  
ენტირებს ქვეყნის, ერის გადასარჩენად: პოეტს სჯვ-  
რა ხვალინდელი დღის დღესასწაულისა, რომ ერი,  
ისტორია არ დაივიწყებს მისი თავისუფლებისათვის  
თავშეწირულ რაინდებს, სულ მალე დადგება დრო,  
როცა:

„ვითარც რომში, მარსის ველზე,  
ქანდაკება ფარსმან ქველის –  
მეფისა და მოისარის.  
აქ –  
თბილისში დადგმება  
ძეგლი კაცის,  
ვისაც ველით –  
ჩვენ მგოსნები გლოვისანი“.

პოეტმა იცის, რომ „ბაჟბაჟ დევის“ „შიკრიკის“  
დაბნეულ გზაზე კვლავ სწორი გზა გამოჩნდება, ნა-  
თელი სხივი გაიელვებს და ბრწყინვალე შუქს მოჰ-  
ფენს:



„გზას –  
ბაჟბაჟ დევის „შიკრიკი“  
კვლავ გვიძნევს,  
არ ჩანს საშველი.  
ვით ბადრი, უსუპ, ამირან,  
მესამედ იქვე მიგედით –  
ჩვენ რო დავგარით ისარი!  
მამულო ნამაისარი.  
აქა-იქ მაინც ასხია,  
მაინც ყვავილობს იმედი“

(„მამულო“).

ეს ლექსები ძლიერი განცდებით დაწერილი ლექსებია, თითოეულ მათგანში გამძაფრებული დრამატიზმია. მაგრამ იმედის ნათელი სხივით შუქმოფენილი. ლექსის ქარგაში დრამატიზმი მხოლოდ პოეტურ პირობითობად თუ შემოიჭრება. ეს ლექსები იმის სახიერად უკუფენაა, რაზედაც პოეტი ლაპარაკობს სულით და გულით, რწმენით, სიყვარულით. ამიტომ მისი სიტყვა ძალუმად იზიდავს ადამიანის სულს. და თუ პოეზია, როგორც დიდი ბელინსკი იტყოდა – სიცოცხლის ღიმილი, მისი ნათელი გამოსხივებაა, მაშინ ეგრისელის ქმნილებებიდან უდაოა გამოსჭივის ეს გადამდები ღიმილი, უქრობი სხივი სამშობლო ქვექნის უკვდავებისა და ერის გადარჩე-



ნისა. ეს აზრი ძალდაუტანებლად გვიჩნდება პოეტის  
ლექსის წაკითხვისას:

„სისხლით მორწყულ ქართლსა და სამცხეს,  
სპარსი არა,  
ოსი იკლებს...  
და გულს მაინც ვერ იოხებს  
და აქრეოლებთ  
მოსინიკებს,  
აბსინებს და ჰენიოხებს“.

(„ქართლსა და სამცხეს“).

\*

„შენს ნათელ ცაზე „აღმოსავლიდან“,  
კვლავ სიძულვილის კვამლი მოხრჩოლავს,  
აღარც ქრისტე ჩანს,  
აღარც მერკური.  
და სამეგრელოვ!  
თავშაჭრიდი როგორც ბოჩოდა,  
ზღვისკარად გდისარ თვალსველი და...  
ხელ-ფეხ შეკრული!..

(ო, სამეგრელოვ!)



აქ ეროვნული ძირების, გენის, ფესვის ძიება და  
დაცვაა პოეტის უპირველესი მიზანი. აქ შეიძლება  
არ გაგახსენდეს ტერენტი გრანელის საყოველთაოდ  
ცნობილი სტრიქონები: „და საქართველო ეს ის მხა-  
რეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია!“ ვაუა ეგრისე-  
ლის პატრიოტიზმი გამორჩეულია, უფრო ტკივილია-  
ნი. პოეტი წინასწარ ჭვრეტს მოსალოდნელ კატას-  
ტროფებს, უბედურებებს ერის პოლიტიკურ ცხოვრე-  
ბაში, ამიტომაც წამებით, ბეჭვის ხიდით გადის  
გოლგოთის გზას. რომ რაც არ უნდა მოხდეს, თუ-  
დაც:

„...ჟე,  
მამულო,  
ყვაგ-ყორნები,  
ვით ამირანს დამასიონ...  
წლები მყავდეს დე,  
რაშებად,  
ადარ მინდა მე აშვება,  
შენი ტრფობის კავკასიონს –  
ვიყო ასე მიჯაჭვული“.

(„შენი ტრფობის კავკასიონს“).



ასეთ სტრიქონებს დაწერს მხოლოდ იგი, ვისაც გულისძარღვამდე ტკიფა თავისი ერი, მამული, ხალხი, საზოგადოება. ასეთი გულისშემძვრელი სტრიქონებით მგოსანი ამხნევებს თანამემამულეებს. გვიხარია, რომ ლექსის ლირიკული გმირი სულით და ხორცით კოლხია, ჭეშმარიტი კოლხი.

აწ განსვენებული პროფესორი, ჯოდორ დაიანი წერდა: „ვაუა ეგრისელის ლექსები გვაძლევს უფლებას, რომ ვთქვათ ჭარმაგი პოეტი კეთილშობილურად, გულწრფელად უყვარს ხალხს. ეს დიდი, დიახ, დიდი წარმატებაა. ეს იმის გამო რომ „მარტო... საერთო სიყვარულით გამსჭვალული კაცია უძლეველი და გამარჯვებული. ღმერთიც იმისთანა კაცს სწყალობს და ქვეყანაც ამისთანა კაცის სახელს, რადგან საქვეყნო საქმე მარტო ამისთანა კაცოაგან პრიგდება და კეთდება“.

სამშობლო მიწის გულწმინდა სიყვარულის ჰიმნია ვაუა ეგრისელის მთელი პოეზია. მაცოცხლებელი, ცხოველმყოფელი სიყვარულითა და სიკეთით ავსებს და ამდიდრებს ადამიანის სულსა და გონებას. პოეტმა, რომელმაც ბრწყინვალედ იცის საქართველოს ისტორია – და რასაც ის მინიატურულ ჩანახატებში შთამბეჭდავად გამოხატავს, ზოგიერთ მწერალს რამდენიმე გვერდი დასჭირდებოდა მის გადმოსაცემად:



„დასაბამიდან უთხრიდა ფესვებს –  
ბრმადქმნილი ჟამი,  
გითარცა მუდო,  
მაინც, ვით ჩიტი მკერდაღრდნილი –  
ათასი წყლულით,  
პონტოს ზეირთებში და ჭყონდიდის  
ტოტებზე ბუდობს –  
უკვდავებიდან მოფრენილი კოლხური სული“.

(„კოლხური სული“).

\*

„ეჰე, ჰე,  
ჰე!  
სივრცეს გავყივი  
და იშმუშნება ლოდი წინაპრის,  
ძეგლად დამდგარ მთის ხმათა უქოზე.  
ცისკრის ვარსკვლავმა მოულოდნელად,  
მამლის ყივილის ყანწი დასცალა.  
კოლხურ დამეს კი იბერიის  
ცის სამრეკლოზე –  
პონტოს ზეირთებით მთვარალი მთვარე  
აჰყავს ბანცალით“.

აქ, ამ ლექსში კიაფობს ავტორის უბადლო ნიჭი.  
აქაა შემოქმედის ტალანტის ძლიერება!.. ჭეშმარიტე-



ბის შთამაგონებლად მქადაგებელმა გვაგრძნობინა, რომ „მზეთუნახავს არ ეჭირვება ფერ-უმარილი და მორთვა-მოკაზმვა, ისე არც ხელოვნურ ნაწარმოებს ზედმეტი სიტყვა-კაზმულობა“.

ვაჟა ეგრისელის პოეზია „გრძნობისა და ჭკუ-ის გამაფაქიზებელია, განმწმენდელია, სულისა და გულის ამამაღლებელია“. (აკაკი).

„ქართლის ცის ქვეშ,  
როგორც სვეტიცხოველი,  
რომ ვმდგარიყავ,  
მეც ამდენ სანს გავძლებდი  
და ვნახავდი მტერს  
ქართველთა მოცელილს...  
ციოთ და მიწით,  
მზით და ციხე-ტაძრებით  
სამშობლოა –  
ჩემი საგალობელი“.

გასაოცარ შთაბეჭდილებას სტოვებს ლექსში გამოხატული ეროვნული პრობლემატიკის გაბედული, ორიგინალური გააზრება. არაფერი ამგვარი მე არ-სად შემხვედრია. ლექსში „კეისარს კეისრისა“ ნათე-ლია, რომ აზრი და რიტმი შემთხვევით არ შეყრი-ლან აქ. რომ ლექსი დიდი ხნის ჯახირით კი არ შე-იქმნა, არამედ იშვა თვითშემოქმედებითი წვისა და ნათების შედეგად, რომ პოეტის ღრმა რწმენით



წყვდიადი უძლურია ნათელთან, რომ „ბევრსაც გულში განეწონა მოზიდული ფრთე ისრისა“, მართლაც-და რა დიდებული თქმაა:

„ქართველების სისხლით მთვრალებს  
ღმერთმა იცის, რაც ეგების;  
ბევრი ბნელში შეისრისა,  
ბევრსაც გულში განეწონა –  
მოზიდული ფრთე ისრისა.  
რა დღეს,  
რა ხვალ მიეგება –  
კეიისარს კვლავ კეიისრისა!“

(„კეიისარს კეიისრისა“).

ამ ფინალში, როგორც ვხედავთ გაიელვა საზეო-მო პეროკულმა ინტონაციამ. ფერი იცვალა პოეტურ-მა საგანმა. იცვალა ფერი პოეტურმა სახემაც და მისმა პოეტურმა სამყარომაც.

მართებულად ბრძანებს პროფესორი გიზო ჭე-ლიძე, როცა წერს: „მეტაფორები, მეტაფორები! – აი ეგრისების ლექსის სიფაქიზე, სილადე და სიმდიდ-რე. ეგრისების ლექსში მეტაფორულადაა ჩაგვირის-ტებული უზარმაზარი კოსმოსი – ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, დედამიწა (მთები, ველები, მდინარეები, ეზო-კარი, ბილიკები, სოფლები, ცალკეული უბ-



ნები) ადამიანები (დედა, მამა, დები, მეუღლე, შვილები, მეგობართა წრე და რაც მთავარია – მამული), რომლებიც ლირიკულ გმირთა რანგში ქმნიან იმ პოეტურ განედს, რასაც ვაჟას ლექსის სიდიადე ჰქვია.“

დიახ, საბრძოლო უდერადობა აქვთ ვაჟა ეგრისელის იმ ლექსებს, რომლებშიც განსაკუთრებული ზიზღით, სიძულვილითაა დამხობილი ძმობა-მეგობრობის დალატი. პოეტი გმობს დალატს, ორგულობასა და გაუტანლობას:

„ძმა ძმას ჰყლავს... სუფევს ქაოსი,

ძნელია ამის ატანა

და ქართულ სასაფლაოზე

დგას და ხარხარებს სატანა.

დღე არის დამით მოცული...

აბა სად,

გისთან იჩივლებ...

და მუხლმოყრილი ვლოცულობ:

სამშობლო გადამირჩინე!“

ყველა პატრიოტი გაიზიარებს ვაჟა ეგრისელის ლირიკული გმირის აღმაფრთვანებელ და გამამხნევებელ სურვილ-მისწრაფებას:

„მე მიწის ძე ვარ ანთეოსივით,

სხვები კი უფრო ზეცას ელტვიან.



და ჩემი სული მზით შემოსილი

დედამიწაზე ვერ დაეტია.

გაივლის ჟამი...

დიდი ხნის მერე,

ნათელი მოვა დათის ნაბოძები

და... საუკუნის ჩრდილში დაკარგულს –

ჩუმად მომძებნის“.

პოეტის ეს მრავლისმეტყველი სტრიქონები გვარწმუნებს, რომ ჭეშმარიტი მამულიშვილის სასიქადულო ნიშანთვისებაა იმედი ნათელ მომავალზე და თუნდაც უმძიმეს დღეებში კი იმედგაუქრობლად ლვაწლმოსილობა.

ერთ-ერთ ლექსში ვაჟა ეგრისელი ამბობს:

„ჩემს მებრძოლ დღეებს,

ვით დაცემულ გმირ ჯარისკაცებს,

მე აღვუმართავ ერთგულების –

მაღალ ობელისკს

და მარადიულ ნათელს ვპირდები...

რადგან რწმენის ცა, ჩაუქრობელი

იმედებით და ვარსკვლავებით

კალავ იგირტება“.



ასე ისწრაფვის პოეტი მამულის დიდებით შე-  
მოსვისათვის, რომ სიკვდილის შემდეგ უკვდავებას  
ეზიაროს.

პოეტის მძაფრი სურვილია:

„...სამარე ჩემი აღარ გაჭრათ  
მწუხერის მერქნებად,  
ზღვაში მისროლეთ,  
სასაფლაო ყველაზე დიდი –  
პოეტებს შორის მე ერთს  
მექნება!“

გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ არც ერთ  
პოეტს არ გამოუხატავს სამშობლოსათვის თავდადე-  
ბის, მამულისათვის საკუთარი სიცოცხლის შეთავა-  
ზებისა თუ შეწირვის ამგვარი პოეტური ფორმა.

„...შოთას, ვაჟას, აკაკის, გალაპტიონის სამშობ-  
ლოში ერთობ ძნელია მოიპოვო ლექსის პირველხა-  
რისხოვანი ოსტატის სახელი... ეს ბედნიერება წი-  
ლად ხდდა პოეტ ვაჟა უგრისელს“... (აბესალომ გა-  
დილია, პროფესორი.)

საგანგებო აღნიშვნის დირსია ვაჟა უგრისელის  
ლექსი: „უცდის პოეტი სიკვდილს“ – აქ მგოსანი



ჭეშმარიტების საკადრისი გულწრფელობით წერს  
ნამდვილი პოეტის ბედის შესახებ. მასში ნათლადაა  
დახატული შემოქმედის ძნელი მოვალეობაც და  
ისიც რომ ხალხისათვის, დიადი მიზნისათვის თავ-  
განწირული შემოქმედი უკვდავია:

„არავის სჯერა ცოცხალი პოეტის,  
რადგან სხვებივით წუხს,  
ილხებს,  
დადის,  
მათ არ იციან, ან საიდან უნდა იცოდნენ,  
რომ მხრებით დააქვს დედამიწის ბოლმა  
და დარდი.  
სხვები მიდიან...“

ის არსად მიდის,  
რადგან სიტყვამ მწვანე ბალახად  
უნდა იცოცოს –  
კიდიდან – კიდით.  
და... უცდის პოეტი სიკვდილს,  
მერე რომ იცოცხლოს!..“

მართლაც რომ მადლით შემოსილი და გაბრწყინ-  
ებულია პოეტის ღვაწლი.

მწამს და მჯერა კოსმიური ჭვრეტით, საკუთარ  
სულჩე ამაღლებული ვაჟა ეგრისელის პოეტური



ქმნილებები მარადისობაში პპოვებენ თავშესაფარს,  
რამეთუ დადგა დრო, როგორც თვითონ ამბობს:

„...მწუხარში დამეძებს სიხარულის თვალი –  
მოხევე,  
და მოწყალებით დმერთო,  
მომხედვ!  
ქართულ მიწაზე დგება  
ჩემი ხმის –  
განთიადი!“

„...თურმე ჩვენს შორის არიან შემოქმედნი, რომ-  
ლებიც ყოველგვარი „აი დამინახეს“ გარეშე, ემსახუ-  
რებიან მუზას, თემებს, – შენს გულისთქმას რომ გა-  
მოხატავენ... მის შემოქმედებას არ სჭირდება დითი-  
რამბები. მოდით, ნუ შევადარებთ მას დიდთა, ნუ გა-  
ვაღიზოანებთ სხვათა და სხვათა, (ჩვენეული ჩასაფ-  
რებული ეშმასი და შურისა მეშინია).

...ვაჟა ეგრისელის ლექსები „ხარისხის ნიშნია-  
ნია და მთის წყაროსავით მოდის, მორაკრაკებს...  
სიტყვა მღერის, სტრიქონი მღერის, ლექსი მღერის –  
ლალი, ფრთიანი, რითმიანი, გინა ურითმო, – აი ნამ-  
დვილი არტისტიზმი – ქართველი კაცის უმშვენიერე-  
სი ფენომენი.



რენტგენის სხივებიც ვერ უპოვის ვაჟა ეგრისელის პოეზიას და პიროვნებას „შავ წერტილს!“ მას, მამულისათვის თავდადებულ ერთგულ მსახურს არ სჭირდება ტაში...“ ჭეშმარიტად! (გიორგი შათორიშვილი, იყალთოს სახალხო აკადემიის რექტორი, აკადემიკოსი.)

### ციალა მასხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



## მამული წევი

შეგებებია ათას ქარიშხალს –  
ზღვისკარად მდგარი  
ჩემი გვარტომი...  
სისხლში და ცრემლში ახლაც  
ივლება  
მამული ჩემი –  
ნვადი ვეფხვის ერთი ნახტომი.  
არწივის ერთი გადაყივლება.

1992

## პოლეო

ისტორიის ძველ საბძელში,  
გალეწილი –  
სხვათა ხმები.  
ვით მარცვალი ყრია ფეტვის.  
შენ ზღვისკარად დგახარ ულოდ,  
(მტერს წარსული მიაფეხ!).  
ვინც დაგეძებს, კვლავ გპოულობს,  
კოლეო –  
ძეო იაფეტის.

1996



\*\*\*

ეამს მიმწუხრისას შავი ყორანი,  
მთებს გადაუფრენს ფრთებით –  
სიკვდილის.  
შუბლს შეიკრავენ კლდეთა ტინები,  
ღამე მოზიდავს მთვარეს  
მშვიდოვით.  
ცას მნათთა სისხლი დაედინება...

1958



\*\*\*

რა იყო ნეტავ,  
 წუხელის ციდან,  
 თითქოს-და კოკით ასხამდა წვიმა.  
 დიდი ხნის წინათ,  
 მკვდარ მამის ლანდს დამდგარს  
 ნუშებთან,  
 ვერ ცნობდა მურა,  
 ღობე-ღობე დასდევდა ყეფით  
 და ეზოში აღარ უშვებდა.

1966



## გერი თევზღორე

სამშობლოს ორგულს და მოდალატეს,  
ვინც რომ განაგებს მეფის პალატებს.  
ზოგ ხელმწიფეს და მის  
ქვეშევრდომებს  
და ყველა “დიდ კაცე” - ცრუს და  
მედროვეს,  
ერთად იყიდის ბერი თევდორე.

1995



\*\*\*

სისხლით მორწყულ ქართლს და სამცხეს,  
სპარსი არა,  
ოსი იკლებს,  
და გულს მაინც ვერ იოხებს,  
და.. აერეოლებო მოსინიკებს.  
აბსინებს და პენიოხებს.

1993



\*\*\*

მოყვავილე და უსამანო,  
ლურჯად გაშლილი  
და მარად ლალი,  
მოგიხმობს სივრცე შენი დობილი,  
და შენ მიფრინავ მაღლა,  
სულ მაღლა,  
ვითარც არწივი,  
საკუთარ ფრთებს მინდობილი.

1961



## ფესტები

წარსულიდან რომ ნელა ამოდის –  
მარადიული ჩემი ფესვია:  
დიაოხია,  
მიდია და ქალდე,  
ლაზიკა,  
ვერ წაპცევენ ჩემს ხვალის დღეს და  
პოეზიას,  
რადგან სამშობლოს სიყვარული –  
უდევს საძირკველად.

1996



\*\*\*

სადღაც მიიკლაკნება ელვა,  
როგორც ევფრატი,  
გარდასული დღეები ხსოვნის  
ცეცხლზე თბებიან,  
და ცა მოჰვავს სამეფოს –  
ნაბუქოდო – ნოსორის,  
გარსკვლავნი –  
წინაპართა ოქროს  
საფლავებია,  
საიდანაც ბრწყინავენ  
მათი ძვლების ფოსფორი.

1964



\*\*\*

ალბათ მალე ელვასავით,  
როგორც წმინდა სამუელი,  
ქამს შეაკრთობს –  
გზა უკუნი,  
რადგან ქართლის ცა მოელის  
პოეტს,  
სულ სხვა საუკუნის.

1960



\*\*\*

დილას ტორებს სცემს ყალყზე შემდგარი  
და მზე ჭიხვინებს

ურა კვიცივით...

ყორნის ძახილი, ისმის ედგარის:

— აჰა,

მოვსულვარ ზღვის შფოთიდან,

ცის დუმილიდან,

მთვარის კრთომად და გარსკვლავთ

სიცილად.


1958



## თუში

ჯვრიან ფარდაგზე ჰქიდია ხმალი,  
 რომელსაც ახსოვს სიკასკასე  
 პატარა ქახის  
 და მოგონების მტვერი აცვივა...  
 თუში შორეთში ესიტყვება თავის  
 ორეულს:  
     – რაი უშველის საქართველოს,  
     დღეს მტერმორეულს?!  
 და...  
 „ფრანგულს“ მზერას ვეღარ აცილებს.

1995



\*\*\*

მოულოდნელად როდესაც წავალ,  
ჩემი სახელი დაერქმევა  
ამ ლამაზ გამზირს,  
გადაიკივლებს არყოფნა წავად  
ყოფნის ცაზე და...  
მიეცემა სიცოცხლეს აზრი.

.....  
ჩემი სახელი დაერქმევა ამ ლამაზ  
გამზირს.

1966



\*\*\*

წუთისოფლის შხამით ალესილი,  
 მარადის მთიბველის  
 კივის ცელი:  
 ამ დღეთა მიღმა გადასცურე,  
 მიწა —  
 მიწადვე მიიქცევი,  
 სიცოცხლე —  
 სიპედილია გადაცმული.

1959



## დიონისე

ზღვით,  
ხმელეთით სდია ნისლებს,  
მიაღწია კოლხეთს გეშით,  
და დვინის ღმერთს დიონისეს,  
სულ მუდამ მთვრალს  
და გალეშილს,  
ძველ “ცეპუბას” და “ფალერნოს”\*  
ურჩევნია “ოჯალეში”.

1979

---

\* ცეპუბა, ფალერნო, უძველესი, საუკეთესო იტალიური დვინოები.



\*\*\*

სულთამობრძავი ეს საუკუნე,  
 ხელში მიჭირავს,  
 ვით სალამური,

და...

ჩემი ლექსის ყველა სტრიქონი,  
 მოშურნეთათვის ჩემი მამულის,  
 არის საყვირი –  
 იერიქონის.

1996



\*\*\*

ღამის მიღმა...

და მზის იქიო,  
მძინარ ზღაპრებს რომ აუგლი,  
ფიქრის ცეცხლად დაინთები,  
მიტომ ქართლში გააღვიძე,  
კოლხური და რომაული  
ლეგენდები და მითები.

1962



\*\*\*

გარსპოლავთა ნაკვერჩხლებზე  
 დაყრილებს,  
 ნაწვიმარ ღრუბლებს აუდით  
 ობშიგარი,  
 იქ ასვლას მწვერვალი ლამობს მთის,  
 ცა –  
 თითქოს დევების კოშკი არი,  
 საიდანაც მთვარე –  
 შუქივით გამოკრთის.

1961



\*\*\*

ასეა წუთისოფელი:

გვდევენ დღეები უამინდონი  
და ბედისწერაც გვზარავს აბელის,  
რადგან ცხოვრება –  
დანაღმული არის  
მინდორი,  
რადაც წამებში გადასარბენი.

1966



\*\*\*

ღამის ტოტზე შემომჯდარი მთა –  
ორბია,  
ასე მოჩანს როცა ბნელა  
და მზე როცა მიცვლილია,  
მატრაკვეცა ვარსკვლავები –  
გარბიან და გამორბიან  
და დილამდე სიმარტოვეს იცინიან...

1978



\*\*\*

ფერთა მუსიკის იყო მგოსანი,  
ოუ არა იგი,  
ქართლის მაღალ ცას –  
მარადისობას ვინ მიუსჭიდა,  
სხვა არაფერი...  
ხელში ფუნჯით დგას  
ფიროსმანი  
და უკვდავება იმზირება –  
მხატვრის ფუნჯიდან.

1964

\*\*\*

ქვეყნად სიკვდილი არის მეუფე,  
 სიცოცხლე გახლავთ –  
 მეფის ნაცვალი,  
 დღისით მზით,  
 დამით მთვარის საცრებით,  
 ჩვენი აქ ყოფნის ოქროს მარცვალი  
 იცრება...  
 იწვის და ინაცრება...

1978



\*\*\*

რწმენის სანთლად ანთებული  
(ჩვენ მტრებს ახლა რაც  
ახარებთ),  
ის ტაძრები მიქრებიან!!!  
ციხე კოშკთა ნანგრევებს  
და ნასახლარებს,  
დღე და დამე რომ დაყმუის,  
ქარი არა,  
ჩემი შავი ფიქრებია.

1995



\*\*\*

ფიფქები –

თეორი ანგელოზები,

მთებს მიღმა –

ღრუბლებს თავს აფარებენ,

ელვა შიშობს და ძირს იხედება,

ისმის ნაპირთან მუხლმოყრილი –

ზვირთთა ვედრება,

და უხმო მესა –

გადაღლილი ქართა ზარების.

1967



\*\*\*

გაზაფხულზე ქართლის ქედებს  
მაღალ მხრებზე გადმოდგრილი  
ჩანჩქერების –  
შვენის თმები,  
შორს,  
ვეფხვების ნახტომივით,  
თეთრზოლება ჩანან მთები.

1962



## დედა ქართლის

აყვარებდა საქართველოს ცას და მიწას,

მზით შებუმბლულ

თავის მართვეს

(მან უწყოდა მის მამულში

რომ დგებოდა ხშირად

ნისლი),

და აჩვევდა მტერთან ბრძოლას –

დედა ქართლის,

გამომცხარი პურის შუბით,

ხმლით და ისრით.

1978



\*\*\*

მყინვარს,

უფლის ნახვის ქინიო,

მთების მხრებიო –

ცად აწეულს

(სად ღრუბლების საჩეჩელზე,

წვიმა ელვის ძაფებს ართავს),

და იქ მძინარ ათასწლეულს,

მე,

ლექსს ვესვრი,

ვით ხელთათმანს.

1968



\*\*\*

სველი აქვთ კაბების ფოჩები,  
 დრუბლების –  
 პატარა ქალწულებს,  
 ახლახან მშობიარობისგან  
 მორჩენილო,  
 ვარსკვლავები კი,  
 კვლავ მხრების აწურვით,  
 უკავენ ნათელს,  
 ხელთ აქვთ მთვარის  
 ვიოლონჩელი.

1964



\*\*\*

მშიერ მგლებივით —

სივრცეს რუხი მოები ზარავდნენ,

მიიზლაზნოდა ხევ-

ხუვებში

ღრუბლის ფარები,

დილის მზის სხივზე —

“ბურსაჭირის” მაღალ ფერდობზე —

ელაგდა ზეინი,

გითარც ზეზვას ჯაჭვ-მუზარადი,

ძირს კი მინდორი ეგდო ფარივით.

1963

\*\*\*

ღამემ მნათობების მუგუზლებით,  
 დილამდე მზის ბუხარი  
 გაახურა  
 და იქვე დაღლილი მიწვა,  
 მიწას კი,  
 ჩვენს ტანჯულ მიწას,  
 ნამუსის ქუდად ცა ახურავს.

1958



\*\*\*

ვერ შევიტყვე ტაშისკარში,  
ჯავრი ვერ ვჭამე,  
და მკლავს მტრის უინი,  
ვერ განვიძურნე და ისევ ვარ შენით  
სნეული,  
მამულო!  
შენი სიყვარულით  
სიკვდილმისჯილი,  
შენი წარსულის ცხრაკლიტულში ვარ  
შემწყვდეული.

1997



\*\*\*

ადიდებული ღამის წყვდიადით,  
სანამ წალეპავს დღეების  
ტალღა,  
ფრთიანი რაში სურს გაიხედნოს,  
და მთათა შორის აფრინდეს მაღლა,  
საუკუნეებს იქით –  
მშვიდად გადაიხედოს...


1995



\*\*\*

შორს ნუ გგონია,  
გეფარება დამის კედლები,  
სამარადისოდ რომ ინათებს,  
იმ დილამდე,  
ნელა, ნუ ჩქარობ,  
გზას გახედე, გევედრები,  
სულ ერთი მოსახვევია  
სიცოცხლიდან –  
სიკვდილამდე!

1980



\*\*\*

ახსოვს ქართლის ცას,  
     ყოფილა ის დრო,  
 ქართულ მიწიდან ქუდმოგლეჭილი  
     გარბოდა მტერი ოხერ – ტიალი,  
 და...  
 სანამ ვსუნთქავ:  
     მარტყოფს და დიდგორს,  
 საქართველოს მტრებს, ვითარცა მუშტს,  
     ცხვირწინ ვუტრიალებ...

1997



\*\*\*

ღელვის კოცონზე მიფიცხებულს  
შუბლი მიხურდა,  
ნერეიდების ნაამბორევი,  
მოწყალე თვალით დამცქეროდა  
თავზე უფლის ცა,  
ზღვა კი ვერ მცნობდა თავის ორეულს  
და ახლოს აღარ მიკარებდა –  
თავის ტყუპისცალს.

1962



\*\*\*

გუს კი არადა,  
 ცად აწეულ ზღვის  
 ლურჯ ბაკანზე,  
 ვითარცა ჰერმესს, მე მიმაცილებს  
 გრძელი ქიტონით ჩემი ქარიტა,  
 ჩემში ათასწლეულთა მზე  
 მოდიდა,  
 და ძმანო ჩემნო,  
 ჰეშმარიტად!  
 ო,  
 ჰეშმარიტად!  
 თქვენ ქვენანი ხართ,  
 მე ვარ ზემოთიდან!

1996



\*\*\*

შენი ცხოვრების გამოქვაბულში  
დღეები –  
შავი დამის მოვველი,  
სიცოცხლეს  
ცხენის ნალად ჰყიდებენ  
და მაინც რჩება შეუმჩნეველი  
შენი ფიქრების  
სტალაქტიდები.

1992



\*\*\*

წუთისოფლით ვინც კი ხარობს:

ქრისტი,

ბერიც,

ყმაც და მეფეც,

მდიდარიც და უსახლკაროც,

ელოდება ყველა ქარონს,

შოორს,

“გადმა” რომ გაიყვანოს!

1971



## პოლი მარტინი

მას ფსკერად ჰქონდა ქავგასიონი  
და ზღვა ხელთეპყრა ერთად  
ექვსივე,  
ახლა მარტოა,  
მინდობილი ჟამთა ქარიშხალს,  
და მგლოვიარე პონტო ევქსინის,  
დარდობს დაკარგულ სამფლობელოებს.

1961



\*\*\*

გჭვრებდი სიმაღლეს დედამიწიდან,  
 სანამ მზემ სხივი ჩამომაშველა,  
 და ჩემი გული მსგავსად დაირის,  
 მწამდა სიკრცეებს თრთოლვით  
 დაღლიდა,  
 ახლა სამყარო –  
 სულ სხვანაირი,  
 ო,  
 სულ სხვად მოჩანს ამ სიმაღლიდან.

1998



## ნასახლარი

კბილი ჩაცვენია ღობეს  
და ორპირი დაჟქრის ქარი...  
ვიდაც გოდებს: ღორონთ სი სო  
გინმოდინე!  
ღუმს ეზო და...  
დგას ჭიშკარი,  
პვლავ ვიდაცის მომლოდინე...

1993

---

<sup>1</sup> ღმერთო, შენ სად გადამკარგე – მეგრ.



\*\*\*

ზღვის ძებუს წოვდნენ  
რძიანს მითებით  
და უხდებოდათ დელვა

-

დასავლის,  
დასაბამიდან უტეხ კოლხთა ფიქრი და  
აზრი,  
ქარისგან დაღლილ  
თოლიასაგით –  
დაფარფატებდა პონტოს და ფაზისს.

1959



\*\*\*

ვინ იცის, ეს როდის...  
მოწმეა შავი ზღვა  
და რიწა,  
დედის ცრემლებივით კამპამა,  
რომ იბერიის აკვანი,  
კოლხეთში –  
ზღვისკარად დაირწა...

1965



\*\*\*

ჯუჯა ხეები და ტანმაღალი,  
 მათი ტოტები –  
 მუხაც აქ არის,  
 ყველას ცრემლები თვალებს უნაშავს,  
 თოვლი მოსულა, ვით დასტაქარი,  
 სიყვითლით უცებ დაავადებულ –  
 შემოდგომის –  
 განსაკურნავად.

1962



## შემოდგომის მზე

საყვარელ მიწას თითს არ აკარებს,  
არ უჭრიალებს ერთად  
ცხრაცარი,  
ძვლებს სტეხს სიცივე  
და აკლდება თვალებში  
სითბო  
და იშვიათად გამოდის გარეთ –  
მზე შემოდგომის ბერდება  
თითქოს.

1987



\*\*\*

გადახვეწილან ცხრა ზღვის გადაღმა  
 ღრუბლები...  
 არ ჩანს მათი ნასახი,  
 მე კი დილამდე როგორც ფროიდი,  
 ნერვებს ვუსინჯავ ცად მოცახცახე  
 ვარსკვლავებსა და...  
 ასტეროიდებს.

1961



\*\*\*

წელამდე თოვლში დგანან ქედები,  
ზვათა სიშმაგით და  
სივერაგით  
ბარს მწვანე გული გაუწყალდა და  
გაუსივდა,  
ზამთარს ჩაუცვამს თეთრი  
პერანგი,  
ჩამოდის დაბლა,  
მთების მაღალ იარუსიდან.

1989



ა. კ.

\*\*\*

ქალწული დილა,  
 დღე გახდა და  
 უცებ დაქალდა  
 და გაუწვდინა ხელი უტევანს  
 და აჟყვა სურვილს,  
 შეცივნებული ტალდა უცებ  
 ამოკანკალდა,  
 ქვიშაზე გაწვა  
 და განუტევა  
 სული.

1967



\*\*\*

ბნელში ნაშობი შენი გერები –  
გდევენ ქარები  
და ძმარს გადენენ,  
შველა გინდა და ამოდიხარ მაღლა  
ბარბაციო,  
ზღვაო,  
არ ვიცი,  
შენ ხარ რამდენის,  
მე კი დავბერდი,  
ორმოცდაათს  
შპვე გადავცდი.

1991



\*\*\*

ვფიცავ მზეს,  
 შენ გაწევს კისერზე –  
 ღვთიური მადლი და ის “ცოდეა” –  
 გიყვარდი და მიტომ ითმენდი,  
 თორემ შენზე უპეო,  
 აბა ვინ იცოდა,  
 ლექსი არ მივარგოდა და...  
 რითმები.

1989



\*\*\*

ჩამოიქროლებს როცა შავი დღე,  
ჩამოუჭანება იმედს დუყები,  
და გალობასაც შესწყვეტს არფები,  
და, სული სხეულს მიატოვებს  
და გაუყვება –  
ლაუვარდებისკენ –  
ვარსკვლავების ლამაზ ქვაფენილს.

1994



\*\*\*

ზღვაო, შენ ჩემო მამულო!  
ჩემო მშობელო ზღვავ,  
ზვირთთა ბავშვებო და ქრიამულო,  
ოქვით, ვით მიყვარდეს სხვა,  
ზღვაო,  
შენ,  
ჩემო მამულო,  
ჩემო მკვლელო და...  
ხსნავ!

1954



\*\*\*

მაღალ დამბაზე მდგარი ეულად,  
ჰგავს გადაჭრილი აკაცია  
მხედარს –  
უთავოს.

(ახლოს ხორგაა და შორს ყულევი),  
შემოდგომას კი უნდა ბედი რომ  
უმკითხაოს  
ხეებს,  
ფოთლების ხელისგულებით.

1962



## ზამთრის 0დილია

ბათურა კიბისქვეშ აგდია მორგვივით,  
 ბავშვების ყიუინა თოვს...  
 “ოებერვალი ბერავს,  
 მარტი კაბას კერავს”,  
 უზის დედაბერი დაშრეტილ კერას,  
 წინდას და მოწყენას ქსოვს...

1957



\*\*\*

გამოჩნდა გემი...

თეორ ბაგირებზე –

ფრენით დაღლილი ფრინველები დაჯდნენ  
მიჯარვით...

მოდის! –

ტალღებმა ნაპირს ახარეს,  
და ზღვამ როდესაც გადიხარხარა,

ცამ გარდისახა ელვით პირჯგარი.

1988



\*\*\*

მიუნდობია წეთისოფელი,  
მაგრამ იმედად, ვით მასპინძელი,  
ამქვეყანაზე ერთი მებადე,  
და ნუ შეგაკრთობს გზათა სიძნელე!  
სულ ორიოდე ნაბიჯია...  
უკვდავებამდე!


1994



\*\*\*

როგორც სამყაროს ჭირისუფალი,  
ადამის მოდგმა,  
რწმენის ამარა –  
ამ სიმაღლეზე ხშირად ამოვა,  
ცა,  
დრუბლის ქვებით შემორაგული,  
მოხუცი მთვარის  
არის სამარე,  
და პირტიტველა ვარსკვლავების  
სასაფლაოა.

1984



**PASTORALE**

უდარაჯებთ მგლის თვალები...  
 არც მამები...  
 არც დედები...  
 ტყეა მწყემსთა საესავი,  
 წველიან,  
 რძეს ადედებენ,  
 და ამოჰყავთ თეთრი ყველი –  
 მთვარესავით.

1956



\*\*\*

შეშა ცრემლებს ღვრის  
და ტყის სული ჩემსკენ  
მოხერხოლავს  
და ნაპვერჩხლების ჭინქები კი  
არ წყვეტენ როკვას...  
და როგორც ძროხა,  
თავის ახალშობილ  
ბოჩოლას,  
თვალმობრიალე კერიის ცეცხლი,  
ჯუნბს,  
ალის ენით ლოკავს და ლოკავს...

1969



\*\*\*

აშრიალდება ღამე ტყესავით,  
 მგლების ყმუილზე,  
 ძალლები შიშს  
 წაიხემსებენ,  
 მამლები იყივლებენ მესამედ,  
 და მერე წამები,  
 წამწამთა ნემსებით,  
 სიფხოზლის თვალებს ამოკემსავენ.

1960



\*\*\*

ოქროსკბილება ბროწეულები –  
დღეებს მზეში ჰყავთ  
გამონასკვლი,  
ხოლო ვარდები და ზამბახები,  
ვით სულთამობრძავს ბოლო, სიტყვა  
უკანასკნელი,  
შემოდგომის ბაღს  
პირზე აშრება.

1985



\*\*\*

ელგამ გაბარჯდა ტოტები სასაფლაოზე  
ცაცხვივით  
და სივრცეს მოსვლა ახარა,  
დააცემინა ცამ ცხვირი  
და...  
მება გადიხარხარა...

1959



\*\*\*

შემოპარულან წლები და...  
მიღებივთ,  
ბუნაგი –  
სიბერის ჩემთან დაუდვიათ  
და სასიკეთო არ ჩანს ამინდი,  
ამ ცბიერ საწუთროს ვინდა დაუნდვია,  
არაა გასაკვირი,  
მეც აღარ დამინდოს.

1994



\*\*\*

რაც თავი მახსოვს,

აბობოქრებულ

ზღვის კოცონს, როგორც საწერ მაგიდას  
ვუზივარ...

მესმის წლების ტკაცუნი,

ზვირთები პგვანან –

ხელაღებულ მამაც

რაინდებს,

ჩია ტალღები

გშიშარა და ქონდრის კაცუნებს.

1987



## ზეპსი და სამელე

უფალს უგალობს დასი –  
სერაფიმთა,  
გალობით საგსეა ცის ლურჯი  
დარბაზი,  
არა ჩანს მთოვარე –  
მნათობთა მეველე,  
და,  
გზე –  
დიონისე მთვრალი მიბარბაცებს,  
უცქერის დღე – დამე –  
ზეპსი და სემელე.

1961



\*\*\*

ამ უსაშველო წერისოფელში,  
 ხსნას და საშველს  
 მაინც პოულობს  
 და რბის იქითკენ ჩემი ბილიკი –  
 სადაც მარადეამს დღესასწაულობს  
 დაფნის სიმწვანე  
 და რტო ფინიკის.

1995



## მარიამები

ვიცი,

ერთბაშად იქნება ძნელი...

სანამ სიცოცხლე შეწყვეტდეს ფეოქვას  
და დარჩებოდეს კარები დიად,  
ო, მღვიმებო!

სულ ხშირ-ხშირად

მოვდივარ თქვენთან,

მსურს ნელა-ნელა შევაჩვიო თვალები  
წყვდიადს.

1991



\*\*\*

გრიგალი —

ავი დედინაცვალი,

ჩემთან შეხვედრას ალბათ

დაგიშლის,

რომ არ წაგისწროს,

ვიცი ზღვაო,

ეს რომ გაშინებს,

ამოხვალ წამით,

შევვარებულს გულს გადამიშლი,

და ისევ უკან წახვალ მაშინვე.

1969



\*\*\*

მოძღვარო ჩემო,  
შენ ნათლად ხედავ,  
რომ სტრიქონებს და სტრიქონებს შორის,  
ვით კრთის ხატება ეშმას და უფლის,  
ერთად ვით ბუდობს აზრი და ფიქრი,  
სიმაღლე ზღვების,  
სიმდაბლე ღრუბლის,  
ლომის ლრიალი და გმინვა ქინქლის.


1961



\*\*\*

რომ ყრია მუხის მორები –  
 ეს თავწაჭრილი დევები,  
 ბუხარს ლუკმად არ ეყოფა,  
 ცეცხლი კი, ვითა ხელმწიფე,  
 პლავ ეფერება თავის ალს –  
 ოქროსომებიან დედოფალს.

1962



## ფიბი “იქმენ ნათელი”

ო, ეს მე თვითონ...  
სხვის შეწუხება,  
რა საჭიროა, აბა მითხარით,  
გავპატე ტყე-ღრე გაუკაფავი  
და მე სამარე –  
თვით გავითხარე,  
ა, ეს წიგნია ჩემი საფლავი.

1993



\*\*\*

თვალი მომეკრა მსურდა უფლისთვის,  
 ამდენი ჭვრეტიო –  
 რწმენის ცა გაცვდა,  
 და არრა მოჩანს, აღარ მინაობს,  
 ჩემი ლამაზი ფიქრი და განცვდა  
 წესს უმიწაწყლოდ და  
 უბინაოდ.

1994



\*\*\*

ამოქლოშინდა მაღალ ნაპირზე  
დუქმორეული და სირბილით  
უღვთოდ დაღლილი,  
ზღვა გრიგალების მონა-მორჩილი,  
და მერე უკან გაძუნდულდა  
ნაცემ ძაღლივით,  
ლაჯებში ტალღის კუდამოჩრილი.

1974



\*\*\*

ჩვენც ვეცადოთ...

სხვა რამეზე,  
ნუდარ გადავიტანო აქცენტს,  
საყელოზე ხელი ვტაცოთ,  
ჩვენ მანამდე  
ვიგაშკაცოთ,  
სანამ იგი ბეჭის დაგვცემს.

1992



## გარმია

სიცოცხლის ძვირად დამფასებელმა  
და სიკვდილის მოიეფემან,  
ნახა ადგილი და სთქვა:  
გამძლეა!

კახთა და რანთა და აფხაზთა მეფეთ –  
მეფემან,  
ღვთისადმი ლოცვად გამოკვეთა კლდეში –  
გარმია.

1978



\*\*\*

შავი ზღვიდან მოტანილი,  
ცამ ღრუბელი კვლავ დაწურა –  
შორეული  
ტრაგმოტანით,  
და დილის მზემ, ვით ქალწულმა,  
უცებ აიყარა ტანი.

1981



## გეღი

“სიცოცხლეში თეთრი გეღი,

მხოლოდ ერთხელ მდერის”,

გალაპტიონი

ფრთაგაშლილი —

სიკვდილს მდერის,

აიტანა გედი წერამ,

დასდებია დარდისფერი,

და უცქერის ბედი —

ცერად.

1989



## იასამნების შადრევნები

საქართველოს ცა ისეა ლურჯი,  
 არა ჩანს ცის და მიწის სამნები,  
 თითქოს ორი ტბა ერთმანეთს ერთვის,  
 ხოლო თბილისში,  
 ზამთარ-ზაფხულ ჰყვავიან თეთრად,  
 ცადაწვდილი შადრევნების იასამნები.

1970



ଓଡ଼ିଆ

ოცნებასავით გაგჩნდი ფრენისთვის,  
და ცის სიმაღლე აღარ  
მასვენებს,  
არც ზღვის სიღრმე და თავგანწირვა  
თეთრი აფრების,  
მეტი რა გითხრა, რა გაგახსენო,  
მარტო ფრთები ვარ...  
სხვა არაფერი.

1995



\*\*\*

შინ არ შემოდის,  
 მთელი დამე გარეთ დგას მთვარე,  
 სცივა და თოვლში უხმოდ ცახცახებს...  
 ცაზე სიბნელის არ ჩანს ლაფარო  
 და არც ღრუბლების შავი ნასახი,  
 დილამდე თავი რომ შეაფაროს.

1967



\*\*\*

მას დაუხოცეს სხვებმა შვილები...  
შენ კი...  
ო, შენმა...  
დუღს ჯოჯოხეთი...  
ელადიდან თუ წარსულიდან  
გადმოხვეწილი,  
დრუბელი არა,  
მედება,  
ჩემო კოლხეთო,  
თავს რომ დაგტირის თმაგაწეწილი...

1993



\*\*\*

გულზე აწვებათ დარდი ზვავებად  
 და სმაში უდუღო ცეცხლი  
 და ლავა,  
 როცა წვიმაა...  
 როცა ქარია,  
 მდინარეები მოიჩქარიან,  
 რომ მღელვარ ზღვაში დაიხრჩონ  
 ოაგი.

1971



\*\*\*

პატარა ბორცვზე დარჩენილ საფლავს,  
გადავიწყების –  
დაპბრუნავს ქარი  
და ტანში უდგას გაქრობის შიში,  
თუმც ხელთუპყრია მას ქრისტეს ჯვარი,  
თუმც...  
განისვენებს ცაცხვების  
ჩრდილში.

1990



\*\*\*

მტრობა ჩემს ქართულ მიწაზე,  
 უცებ ჩამოდგა მწუხარივით,  
 მაგრამ მე სინდის-ნამუსის  
 ქუდი ვერავინ მომხადოს!  
 სამშობლოს ბედზე წუხილი –  
 თავქვეშ მიგია თოქალთოდ.

1995



\*\*\*

მარად ელგარე კალმის მახვილით,  
ბობოქარ ჟამთან  
დიდახანს იომეს...  
აშ ჩვენს ხსოვნაში დააბოტებენ –  
რუსთაველი და გალაკტიონი,  
ბაირონი და  
ხრისტო ბოტევი.

1994



\*\*\*

მაოტი და მარბიელი,  
მარად შმაგი და ხენეში,  
ქარიშხალი –  
ღრუბლებს რკალავს,

ცა  
კი მთვარის სამელნეში  
აწობს ელგის  
ოქროს კალამს.

1971



## მდინარეები

მთა —

სიცოცხლეა,

ზღვაა —

სიკვდილი,

ყველა მდინარის,

ბინადართ ცისქვეშ,

და დმერთის გარდა არავინ იცის,

რად იჩქარიან ისინი

ზღვისკენ?!

1986



\*\*\*

ა, იმ მთათა მწვერვალიდან,  
 გულგამსკდარი ლოდები  
 რომ ძირს ცვივიან,  
 ნეტავი რა ჰკლავთ?

— მაცილია?

— არა,

ისე სულ უბრალოდ,  
 მიჯაჭვული ამირანი გაბრაზდა და...  
 ფეხი წაჟკრა.


1978



\*\*\*

ზღვად კოდოების დგებოდა ბინდი,  
მწოვდნენ სისხლს და ფიქრს,  
ისეც ფერნაკლულს,  
და იღებავდა ცა წვერს წითლად,  
ვითარცა აღა,  
მაშინ ზღვის მაღალ გულმკერდში  
ჩაკრულს,  
აკვანს მირწევდა ეპქსინის ტალღა.

1982



\*\*\*

არა და არა!

ჩემს ქართულ ზეცას,  
აღარ შორდება —  
ვარსკვლავთა ქეცი.

1988



შიგნები... შიგნები...

ღმერთთან გსურს?

ო, ერთობ ძნელია!

ნიჭი?...

მთავარი გულია,

დღეების ბალახი თიბე...

აგერ,

თაროებზე მიდგმულია,

მასთან ასასვლელი კიბე.

1991



\*\*\*

საბრძოლო ეტლით მოვარდა ქარი  
 და ხმელეთს სტყორცნის  
 ზვირთების ლოდებს,  
 ცოფმორეული თაგს კლდეებს ახლის,  
 უმზერენ მთები უგიცები  
 და უმეცრები,  
 და მთებს მიღმა კი დგას მთვარის  
 სახლი,  
 შემოღობილი ვარსკვლავების  
 ოქროს მესრებით.

1967



## დავით აღმაშენებელის

აი,

ახლა, გვინდა მეფევ,  
ელვარება შენი შუბის,  
ახლა უნდა კვლავ შეპყარო:  
ერი,  
ბერი,  
რუსს – ურბნისს,  
აფხაზეთით გამოპქროდე,  
შენი შავრა პუნეთი  
და მოხვიდე მეოცეში,  
შენი დიდი მეთერმეტე –  
ოქროს საუგუნეთი.

1993

\*\*\*

დღეცა და დამეც დასაბამიდან  
 ერთად სახლობენ –  
 ცაში ორივე,  
 თესენ მნათობებს ოქროს მარცვლებად,  
 უამი კი მიჰქრის მეტეორივით,  
 ყოფნას,  
 არყოფნა,  
 ნათელს ბნელი კალავ ენაცვლება...

1984



## მითხარით ზღვებო

ზეირთთა დაკუნთულ მკლავებს რომ  
უწვდით,

ცა მაღლა,

მაღლა,

გეზიდებათ ელვის თოკებით,  
მერე ღრუბლებში უხმოდ წვებით და  
იფილტრებით,

ყოვლის წამლეპავ გრიგალებს რომ  
ამოისუნთქავთ,

მითხარით, ზღვებო!

გაქვთ რა ფილტვები?

1961



\*\*\*

ისე,

ვით კასრებს ფერადი სარტყლები,

მთამ გადაუგორა ზღვას ელგა

რგოლებად,

სივრცეებს გადაკრა სიწითლემ აგურის,

უეცრად იქუხა...

დააჩნდა ზოლები –

შიშისგან გაუსკდა ცას გული.

1964



\*\*\*

ოქროდ მოჭედილ მზის გვირგვინოსან  
ცას გუმზერ,  
როგორც სამყაროს  
საწყისს,

ცას –  
დამძიმებულს მნათობებით,  
მოკვდავთ ლოცვებით,  
და საიდუმლოს მაინც ვერ ჩავწვდი:  
ცდომილთა სრბოლის,  
მთათა ლტოლვის,  
ზღვის მიმოქცევის.

1989



\*\*\*

ცათამდე ამაღლებული –  
 კაცი ფიქრით და  
 ოცნებით,  
 დაბლა მიწაზე ვერ ივლის,  
 მე ვცხოვრობ ლვთით და  
 ლოცვებით,  
 მეუდაბნოე ბერივით.

1995



## გაშა-ფშაველას

გაზაფხულზე შენი მოები,  
ყვავილების გიფენს ნოხებს...  
და შენ გრგვინავ არაგვივით,  
რაც დრო გადის ხმას  
იბოხებ.  
ასპარეზად მთა არ გყოფნის,  
რადგან ლექსის ზვავად მოხველ,  
თვალხილული წუთისოფლის,  
— თვალდათხრილო მეამბოხევ!

1971



\*\*\*

ბრძოლით დაღლილ – დაქანცულებს,  
სძინავთ ზეირთებს –

გოლიათებს,  
სძინავთ ქარებს –  
იმათ ბიქებს,  
და დიღა რომ გაიღვიძებს,  
ზღვა თვალებში ამოისვამს –  
თოლიას ფრთებს.

1961



## პოპოს პატა

მგლური ნაბიჯით შუკა – შუკა  
დაეხეტება,  
იცის წევარამის  
ხმით ამძაღება,  
კანკალებს შიში მისგან მოგერილი,  
ნაჩხუბარი და ნაომარი  
სოფლის ძაღლებთან  
ახლა დაღლილი,  
ლაფაროსთან გდია მორგვივით.

1960



## აზრები

სილა რომ გააწეს დაბერილ ლოფაზე  
 ქარებმა,  
 უეცრად გაფითრდნენ აფრები,  
 მაგრამ იმწამსვე  
 ზღვის ლურჯი  
 ალერდი,  
 აბრეშუმნარევ სხივთა ძაფებით  
 მზე –  
 ჩამავალმა აახავერდა.


1978



\*\*\*

პოეტთა შორის,  
როგორც არავინ,  
მიწის სიმაღლე მე  
განვიცადე,  
შეხედეთ ლექსებს,  
ვით ატყვიათ სიშორის ბრძლები,  
და ამ სტრიქონებს მოაღწიონ –  
მშობელ მიწამდე,  
ო, ღმერთმა ნუ ქნას,  
რომ დასჭირდეს სინათლის წლები.

1995



\*\*\*

ნუდარ მიელტვით იდეალურს,  
 და ნურც იდეას,  
 ცხოვრება –  
 ცრემლით მოკირწყლული  
 ღამის კიდეა,  
 გსურთ იდილია?  
 ის სიკვდილია,  
 სხვა არაფერი.

1989



ALBERTSU

\*\*\*

რომ ვედარ გაიგოს გრგვინვა და ქუხილი,  
ქარები ზღვას ყურში,  
ღრუბლების –  
თეთრ ბამბას უცობენ  
და მიწის ხაროში კეტავენ,  
ტალღებიც ნაპირთან რომ ფაციფუცობენ,  
ვის ელოდებიან ნეტავი?

1960



\*\*\*

ხელებგაწვდილი მისტირიან ხეები  
 ფოთლებს  
 და სივრცეს ფერი ედება  
 ტუტის,  
 ოდა აბოლებს ყალიონს –  
 ბუხრის,  
 მზის ჩასვლა ისმის კნავილად კნუტის  
 და სახურავზე კატასავით  
 მოძვრება მწუხარი.

1961



\*\*\*

ჩვენს დაუგიწყარ მიცვალებულებს –  
ხსოვნად ადგანან  
სამშობლოს მოები,  
ერთად არიან ძველებიც და თანაც ახლები,  
ო, რა ამაყნი არიან მკვდრები,  
აქეთ არ მოვლენ,  
სანამ იქით არ გეახლებით.

1959



\*\*\*

გერავინ მიაგნო მათ ადგილ –  
 სამყოფელს,  
 არავინ იცის  
 ქარების ბუნაგი –  
 შიშის ზარების დამრისხავი,  
 ზეცის საშოში ჩაისახა მთვარის ნაყოფი,  
 ზღვამ გამთენისას შობა  
 ქარიშხალი.

1982



\*\*\*

წამოდგებოდა,  
                  მამა დარდებს გააბოლებდა,  
და იბღავლებდა დილას ბოსელი,  
მზეც ამოჰყოფდა მთიდან ყურებს –  
                  დამფროხალ არჩვივით,  
სოფლის ახლოს კი სიჩუმეში  
                  მწვანით მოსილი –  
მიტკარცალებდა სქვია\*,  
                  წყაბუ\*,  
                  და დოფაჩილი.

1955

---

\* სქვია, წყაბუ, დოფაჩილი – დელების სახელებია



## აჰა, ზღვები

დედურ გულზე სულ რომ აწევს,  
 მიწის ბოლმა –  
 არის მოქბი,  
 კრთის –  
 ღრუბლები,  
 და მათ წუხილს,  
 არ აქვს ქვეყნად,  
 არც ნაპირი, არც საზღვრები,  
 მათ თვალთაგან დანადენი,  
 აჰა, ზღვები!

1982



\*\*\*

იმედებით გაფოთლილი –  
გადამექცა ღვარძლად  
იფქლი,  
რადგან აღარ მოხველ,  
წუხელ ღამე,  
შენზე ფიქრით,  
გული მოვიოხე.

1985



\*\*\*

ის პოეზიის ტაძარში მოვიდა  
ლამე ნათევი,  
ამურის ისარნაკრავი,  
და დაკლა თავის საკლავი,  
დაანთო თავის სანთელი.

1994



## აპრილი მთაში

დაირტყეს გულზე ზღვათა მჯიდები  
და მიატოვეს ჭიუხიც,  
ეხიც  
ჩანჩქერებმა და დაიწყვიტეს ყინულის ნერვი,  
სიჩუმის ციდან დაცურდა  
მეხი,

მისმა ავმა სმამ გაბზარა ცის –  
ვევბა ქვევრი.

1986



\*\*\*

მოსწეონდა,  
 მაგრამ ვერ მიატოვა,  
 ის მასთან არის,  
 ვინც რომ უთხრიდა  
 ნიადაგ,  
 თავის გულში სამარებს,  
 და მოყვავილე მოგონების ბალის კუთხიდან  
 სურნელს კვლავ აფრქვევს  
 იასამანი.

1990



## ეგრი და ქართუ

ათასწლეულთა იქიდან მოჩანს  
ეგრის და ქართუს  
დანთებული სიტყვის კოცონი  
და ოქროცურვილ ჩემს ენას ქართულს –  
ცად აწვდილ ვარჯს და  
ფესვებს ვუკოცნი.

1989



## მარტყოფი და ტაშისპარი

როს აჩრდილი გაიელვებს  
 კელზე, —  
 დიდი მოურავის,  
 მარტყოფი და ტაშისპარი,  
 მის წინაშე ქედს კვლავ იხრის...  
 და დილამდე უსმენს მტკვარი  
 სააკაძის რაშის ჭიხვინს.

1993



\*\*\*

ჩამოსულან და...

მრევლი დრუბლების

ტირიან...

და ცრემლს ვედარ იშრობენ...

რადგან მშობელი ცა არარაობს,

ზღვა

კი კალთაში უზის

ზღვის მშობელს

და უნანავებს პალმის მარაოს.

1967



\*\*\*

არასდროს გვინდობს...

წუთისოფელი,

ფარსადანივით მარადებამს გვმუხოლობს,

რა გქნათ,

ჩვენი დღე გაგვაქვს ასე

კარგად თუ ავად,

და ჩვენ მოკვდავნი, ცხოვრებად ვუხმობთ:

სიცოცხლისა და სიკვდილის

კამათს.

1989



\*\*\*

ცას მოწყვეტილი,  
როგორც მნათობი,  
უსასრულობის ლაბირინთებში –  
გზა დამებნევა  
და გავიჩრები,  
ცის მღვრიე ზღვაში –  
დღე და დამის  
ნაგს მიაცურებს  
დრო,  
გზის და მთვარის დიდი ნიჩბებით.

1963



\*\*\*

ორბელიანის წიგნის ფურცლებზე  
ლოპიანა და...

ორთაჭალის ცოცხლობს ბაღები  
და აფრქვევს სურნელს –  
“ძველი დიდების!”

მტკვარი კი წარსულს მღვრიე ტალღებად,  
კასპიის ზღვისკენ მიეზიდება!

1978



\*\*\*

ამ ტიალ წუთისოფელში –  
კდგავარ უხმლოდ  
და უფაროდ  
და შენ არარას გიჩივი,  
თუმცა შენ ყოველს გწამებენ,  
და რა შუაში ხარ, უფალო,  
ქვეყნად გზის მეტი რა იყო,  
მაგრამ გზა ესე –  
წამების,  
მე თვითონ ამოვირჩივ.

1958



\*\*\*

ცხოვრება კი მდორე ზღვაა,  
 არც იკლებს და  
 არც იმატებს,  
 ოუმც თვეები ჭიქა,  
 ჭიქა,  
 საუგუნის ჯიქანიდან –  
 აწველის შიგ წელიწადებს.

1968



## გაჟ, სოფელო!

დარჩენილ დღეებს,  
მშიერ – მწყურვალნი,  
აღარ ვზოგავთ და ვიღუპმებით,  
სანამ ყელში არ გაგვეჩხირება  
კუთვნილი ლუკმა უკანასკნელი,  
ყოფნაც,  
არყოფნაც,  
იღრინება, როგორც ქუქნები –  
ხვადებზე გადასკვნილი.

1995



\*\*\*

ცოგა...

და ბარტყებს შავი ნაბდები  
 წამოუხურავთ ტანზე მეცხვარის,  
 წუხელ არიან გამოჩეკილი.

და ჩემს ოდის სვეტს –  
 ბუდე მერცხალის,  
 ისევ მოუჩანს “ფისტონჩიკივით”.

1954



## ჭირის ძახილი

ეს ელგა კი არა,  
არის ძახილი,  
ხმალაღმართული ჩვენი წინაპრის:  
— სატანამ ხელი საქართველოს ისევ  
დარია!

პატარა კახი —  
მოვა ირაკლი  
და ვით ჩამოხსნა,  
კვლავ შეაბამს  
კარებს დარიალს!

1993



## მიზანი

ზორბეგი კვლავ სვამენ ქარებს  
და წყვდიადში გადამითვრა  
ზღვა,  
ანჩხლი და ბრაზიანი,  
მზის ქანდელით მოდის მითრა,  
ცა —  
ნათელს რომ აზიაროს.

1989



\*\*\*

სანამ ისმის რუსთაველის –  
კეფხის წიგნში  
ლომთა ბრდღვინვა,  
დე,  
გაიგოს მტერ-მოყვარემ,  
ვინ ვიყავით...  
დღესაც ვინ ვართ,  
დე,  
იცოდნენ, რომ სამგლეთი,  
კვლავ არსებობს ამა სოფლად,  
დრო მოვა და...  
მგლებს ალგეთის,  
ერთ ლუკმადაც არ ეყოფათ!

1992



\*\*\*

შორით მოვარდნილ ცეცხლის  
ქარიშხალს,

ბევრჯერ უცელია ქართულ ცაზე  
მზე და ამინდი,

დაუწვავს იგიც,

რაც ვერ დაწვა სპარსმა, არაბმა.

რას იზამ,

ჩემო,

საქართველო დასაბამიდან,

ასე ებრძოდა ჭირს,

სიკვდილს და დავიდარაბას.

1993



## გვალვიანი ჭელიჭადი

ტუჩგამსკდარ მიწას წყალი მოსწყურდა,  
შავი ღრუბელი –  
მიწას მოშივდა,  
გულხელდაკრეფით წევს ინახად  
სათეს-სახნავი,  
და ცის მაღალი ბროლის კოშკიდან –  
ისევ ხშირ-ხშირად იცქირება  
ფერმერთალი ელვა –  
ოქროსთმიანი მზეთუნახავი.

1959



\*\*\*

შეელა ერთად ავისრულე,  
 თუ მქონია რამ სურვილი,  
 რადგან შემწედ კვლავ მყავს  
 ქრისტე,  
 სიყვარულით დაისრული  
 სტრიქონს ელვით ვაგვირისტებ.

1989



\*\*\*

ჯერ ერთად ვართ,  
ერთჭერქვეშ,  
მაგრამ მერე იკითხეთ,  
როს იწვიმებს...  
ითოვებს...  
როცა მოგა იგი დღე,  
ჩვენ რომ დაგვათითოვებს.

1993



\*\*\*

სამშობლოს მთები,  
 როგორც დევები,  
 დგანან უვნებლად,  
 ატმები ვარდისფერი ბაგეებით, –  
 წვენ გაზაფხულზე  
 გვეჩურჩულება.

1988



\*\*\*

სიბნელის მიღმა,  
კონტრაბანდივით,  
მთვარე,  
ღრუბლებმა კვლავ გადამალეს,  
და ვარსკვლავებიც სადღაც მიღიან...  
ბდავის ნახირი...  
და სინათლეს ყივის მამლი,  
თენდება!  
დამე ბეწვზე ჰკიდია.

1988



\*\*\*

მხარზე დავადე მარჯვენა ხელი,  
 ყველაზე უფრო კაშკაშა მნათობს  
 და შევაფარე თავი მის უბეს,  
 და ჩემი მზერის სიშორე ათბობს,  
 ვარსკვლავების გაყინულ  
 ზურგებს.

1988



\*\*\*

ტანზე ხასხასა მოსავთ სიმწვანე,  
თვალაპყრობილებს ზეცისკენ  
სევდით,  
ადარ არსებობს მათთვის ასაკი,  
თუმც ენატრებათ ბევრჯერ ვასაკებს,  
დოტრეამონის “გომბეშოს” ბედი.

1966



\*\*\*

ქარი უეცრად მოვარდება  
 და ეჭვიანობს,  
 როცა დაღლილი ცხელ ქვიშაზე მიგწვები  
 ზღვასთან,  
 ტალღების ჯოგი ჩემსკენ იურვის...  
 და მე, როდესაც არა ვარ მასთან  
 სანაპიროზე ზღვა ბოლთას სცემს  
 და ნერვიულობს...


1982



\*\*\*

შუაღამისას ცა ნამიანად –  
ზღვაში ჩაბერტყა  
ჭექა-ჭუხილმა –  
დელვის ნაპირზე ბროლად მიშლილმა,  
და როს გათენდა,  
ჩაიარა ცელქმა ნიავმა,  
დიდი გრიგალის უნაზესმა შვილიშვილმა.

1957



\*\*\*

ჩვენს კეთილ,  
 მოხუც მიცვალებულებს,  
 გულზე აყრიათ სამშობლოს მიწა,  
 არც ვარდი აკლიათ  
 და არც იქბი,  
 ეფარებიან...  
 და იმხელა კედელი იცავთ,  
 თითქოს ეშინიათ გაცივების.

1961



\*\*\*

შორს...

მთების გადაღმა გაფრინდნენ  
ღრუბლები

და გადაუარეს ზღვებსა და  
მწვერვალებს...

ნაპირთან ტალღები სიბრაზეს მალავენ,  
ცის სამელნეში კი მთოვარის  
კალამი

ჩააწო მწუხერმა და...

წერს დამეს.

1959



\*\*\*

იცის ხორგამ და იცის დარჩელმა,  
 როს გაიფურჩქნე და ამიყვავდი,  
     შენ აკეთებდი ჩემზე  
     არჩევანს,  
 მაგრამ სხვისი ხარ...  
     “მასზე” მეტად,  
     მე რომ მიყვარდი,  
 ამის მოწმეა ცა – თუთარჩელა.

1957



## შუთისოფელი ასეა

ზამთარს ცვლის ზაფხული,  
სინათლეს –  
წყვდიადი...  
სიკვდილის წისქვილით,  
სიცოცხლე იფქვება,  
და ხმები მოისმის ზარის და ნაღარის:  
“რაიც ყოფილა იგივე იქნება,  
არაფერია მზისქვეშ ახალი”.

1988



\*\*\*

დიდხნის არა,  
 ერთ დღის უნახავს,  
 როს მიხილავდა,  
 ზღვა მაშინვე  
 ფეხზე დგებოდა  
 და სულს მიტკბობდა ქარის დაირით,  
 მეგონა  
 ახლაც ისევ ისე  
 დამიხვდებოდა,  
 მაგრამ დამიხვდა სევდიანი,  
 სულ სხვანაირი.

1986

\*\*\*

ელვის ფრჩხილებით პირს დაიხოკენ  
და დედურ მოთქმით,  
“ზარით, ღრიალით”,  
დამიტირებენ როცა ქარები,  
მაშინ სხვათაგან მიუკარები –  
ზღვა დამიფარავს.

1962



\*\*\*

ბაღად აქციეს უდაბნოები

ხელებმა ნიჭის...

ჭკუამ...

გონებამ...


ცაში აზიდეს კაცის დიდება, –

ფარაონებმა?

არა, მონებმა,

ხუროთმოძღვრებმა პირამიდების.

1957



\*\*\*

რადგან საწუთო არ მინდობს,  
მარადისობის მდომელი,  
ამომაქვს ფიქრი მაღნებად...  
თუმც მათოვს თოვლი,  
რომელიც,  
აღარასოდეს გადნება.

1989



\*\*\*

სამშობლოს ცა –

კვლავ სწერია,  
და ფიქრების ბოჩოლები,  
მნათთა ჯიქნებს დამით სწოვენ,  
სიყვარული არწყელია,  
გულს ლახვარი –  
განვიწონე.

1965



\*\*\*

აღარ შორდება წამითაც,  
თან სდევს სიკვდილის  
აჩრდილი

გრიგოლ-ქარების ჭენებით,  
და...

ქარიშხალში გაჭრილი  
ზღვა —  
სამარეა გემების.

1984



\*\*\*

ბედი,

მას ჩემთან ვერ შეაუღლებს,  
 ის ჯოჯოხეთში რჩება ჩვეულში,  
     ეს ჩემზე უპეო,  
     აბა ვინ იცის,  
 სამოთხის კარს რომ არვინ გაუღებს  
     ჩემს სულს და შიგნით  
     აღარ შეუშეგბს.

1990



## მღვწერის გზაზე

სიგრცისა და შიშის შუა,

გაწოლილა ცა და მიწა

არ ისმის “ხმა სამარიდან”,

ჩანს არავინ...

მწუხრის გზაზე,

მზე შემომხვდა,

პირი მანაც ამარიდა.

1991



\*\*\*

მამულო ჩემო,  
 მუდამ გფარავდეს,  
 ჯვარი —  
 ლაშარის,  
 ხატი —  
 ხახულის  
 და გორგასალის ფარ-მუზარადი.  
 მე,  
 სიყვარული შემონახული  
 მაქვს..  
 და მექნება შენოვის მარადის.

1979



\*\*\*

მზე ჩაესვენა...

ომას იწერს ქარი...

ზღვა თავს იკლავს და კლდეს

ენარცხება,

ელვის მახვილი სივრცეებმა გულში

ჩაიცეს,

სასაფლაოზე მდგარმა ცაცხებმა

ამოიგმინეს... და ყვავების

შავი ჩაიცვეს.

1959



\*\*\*

სინათლეჩამდგარ სიშორის თვალში  
 მეტეორების არის  
 თარეში...  
 დამე კითხულობს ვარსკვლავების  
 ეპიტაფიას,  
 და ცის ბობოქარ  
 ოკეანეში –  
 ნალეგა მთვარე –  
 ნავს ჰგავს აფრიანს.

1959



## მარადიული ქალაქი

აჰა,

ქალაქი მარადიული,  
ყოვლის მქონეთა  
და.... უპოვართა,

და,

აი, ახლა,  
მიტოვებულ მცირე ბორცვიდან –  
ტირილის შავი დელგმა მოვარდა,  
წივილ-კივილის  
ჯარი მოცვივდა.

1979



\*\*\*

რომ დახატოს გათენება,  
 ვარსკვლავების  
 ფერად ფანქრებს,  
 აისამდე დილა წათლის,  
 გლეხეპაცივით მერე დილა –  
 გადმოდგება მთებზე  
 ქართლის,  
 შუბლზე მზის ხელს მოიჩრდილავს.

1978



## ვეტავ პონ იყო

ტანზე მათხოვრის ფლასი ემოსა  
და ჩემს წინ იდგა  
ხელებგაწვდილი,  
თვითონ უპოვარს მთხოვდა წყალობას:  
ო, იქნებ ჩემი ხმაც მიაწვდინო  
და შეუერთო მნათობების  
ციურ გალობას...  
სიყრმის დროინდელ მოჩვენებას  
როცა შეკუვლი,  
ნეტავ ვინ იყო?  
ვფიქრობ შიშით  
გულბორგნეული.

1994



\*\*\*

გამოარდვია საუკუნის მღვრიე ტალღები –  
 თავისუფლების  
 ამაყმა გემმა  
 და მოაყვირა...  
 მაგრამ ამდენი ბრძოლით დაღლილმა,  
 ვერ გაიღვიძა სამშობლომ ჩემმა.

1990



## მთივაბი

მთვარით გადაშლილ დამის რვეულში,  
მეტეორები –  
ოქროცურვილ ხაზებს ავლებენ...  
ქარები ღრუბლებს თავს აფარებენ,  
და ციმციმებენ ცაში მთიები –  
ანგელოზების ნატერფალები.

1984



\* \* \*

ქარის ქავქავა რაშებით,  
როგორც მაყარი და  
მდადე,  
ზეირთნი სიმღერით მოდიან...  
შეხედეთ ზღვას!  
ამ ბაყაყ დევს,  
რა გაბრაზება სცოდნია.


1957



\*\*\*

ნუდარ შესჩივი ღმერთს,  
უდმერთობას,  
დიდია მისი სუფევა და ალბათ  
მოგხედავს,  
მხოლოდ გალობით,  
ბულბულივით შეხვდი იალონს,  
შენ ტყუპისცალი არ გყოლია,  
მარტოდ მოხვედი,  
და უვალ გზაზე, მარტომ უნდა იხეტიალო...

1991



\*\*\*

სიცოცხლე ჩვენი მოჰგავს ელვას –  
 ნათელს მოგვაფენს,  
 როცა იელვებს...  
 და მერე ჩვენზე სამარადისოდ  
 ამეფებს წყვდიადს,  
 სიშორეს და სიცარიელეს.

1961



ALVAN

## სამძიმარი

“ავიღეთ სენაკი, ზუგდიდი, ფოთო...”

გაზეთებიდან.

ეგროსის არ ესმის ქართუს,  
და მმის მკვლელ ბრძოლაში

გართულს,  
ყოფნა არ ექნება იოლი,  
ინგირს კვლავ უცხადებს სამძიმარს,  
აქ,  
ადრე მცხოვრები სამი მმა:  
პალეოლით!  
მეზოლით!  
და ნეოლით!

1992

\*\*\*

თავს არწივი დაგვტრიალებს –  
 ვაუასი თუ პანიმედის,  
 ფიქრშიც ბნელა...  
 და ტიალი,  
 არც შარა ჩანს, არც იმედი,  
 რადგან ჩვენი სიყვარული აიღურსა,  
 დაიღურსა,  
 სიძულვილის გზას გაჰყვება  
 და წყალს დალევს  
 ჩაიღურსა.

1993



## აქილევსი

ცა მოჭედილი გარსპოვლავებით  
ჩემი ფარია,  
ელვა – მახვილი,  
და მიხარია სივრცეს რომ ძრავს ჩემი  
სახელი –  
აქილევსი!  
და გაგონება ტანს მაჟრულებს  
“ბატას”, “ლილესი”,  
რადგან ლაზი გარ თუ პელაზგი  
ეს სულერთია,  
კოლხ-იბერთა გარ ნაშიერი.

1962



\*\*\*

ფრთას გაკრავს დამის სიშავეს,  
 სიცოცხლესა და  
 დილის მაღლს –  
 მოჰვენს ქოხსა და სასახლეს,  
 როდესაც ბაღში განთიადს,  
 შაშვი რომ გაიჭახჭახებს.

1987



\*\*\*

ღრუბლებში დამის შავი ხევია  
და კლდიან კლდეზე,  
ო, სულ იოლად  
ისტუპებს ელვა —  
დამფრთხალ შვლის ნუკრად,  
მოვარე კი,  
როგორც მევიოლინე  
ზის ცის დარბაზში და ნათელს უკრავს...


1972



\*\*\*

სადაც დაუკრავდი,  
 ამოჩქეფდა აზრი ანგარა,  
 კალამი არა,  
 კვერთხი მეპყრა მე  
 ჯადოსნური,  
 და ლამაზ დღეებს სიყვარულის ოქროს  
 ვავლებდი...  
 ჩემი ცხოვრების შუადღეც მოსულა  
 და...  
 გადახრილა მზე დასავლეთით.

1991



## ნადირ შაჰი

ქართველს, დედა-წელიანად,  
რომ მიღალავს,  
როგორც ფარას,  
შაჰი მართლა ნადირია...  
და...  
მარაბდის ველს რომ ფარავს,  
ნისლი არა,  
აქ დაცემულ –  
ცხრა ძმის დედის მანდილია.

1992



\*\*\*

“ოჯალეში” და “ადესა”  
მისდევს თხმელებს და  
კორტონებს...  
შემოდგომა კი ბაჯაღლო  
ოქროში ავლებს მთვარის ტოლ  
მანდარინებს და  
ფორთონელებს.


1977



\*\*\*

წყალს რომ იღებდი,  
კვლავ იმ ჭისკენ  
გამირბის მზერა,  
ვიცი არა ხარ, და მაინც გეძებ,  
როდესაც სტუმრად ჩამოვალ სოფლად,  
მაგრამ რად გინდა,  
ერთ კვირას ვერ ვძლებ,  
დედა,  
უშენოდ ჩირად დირს ყოფნა.

1990



\*\*\*

გადაუქროლებს სივრცეს ქუხილი,  
 ქათქათა ღრუბელს პარაშუტივით  
 უეცრად გაშლის,  
 და გამოჩნდება მთვარის ბორცვები,  
 ვერ ვხედავ, მაგრამ,  
 მე ვიცი ცაში,  
 რომ ვიღაც ზის მექთამზყორცნელი.

1977



## მესავებები

ამოვლენ ზღვიდან და ტანთ მოიხურავენ  
თეთრ დამეს –  
ვარსკვლავთა ღილებით  
და ტყის ბილიკებს მზე შეფენილს,  
ფეხში შველები და  
თმაჩამოშლილები  
შიშით მიუყვებიან მესეფენი.\*

1961

---

\* მესეფენები – ტყის ქალიშვილები, ტყაშმაფები..



\*\*\*

მაღალ კლდედ აღიმართები,  
 “ვინც აღგაშენა”,  
 ვერ დაგშლის,  
 მიუვალ მთათა მოლაშქრეს,  
 იცოცხლებ ზღვათა ღელვაში  
 და ქარიშხლების ქროლაში.

1994



\*\*\*

სიმინდებს ტარო დამბაჩებივით  
ჩაუწყვიათ და ყანა-ყანა  
სადღაც მიღიან...  
მწიფე ლეღვებს კი იქვე ღობესთან,  
თავები დაბლა ჩაუკიდიათ,  
ალბათ დაღლილებს,  
სამზეოზე ყოფნა მობეზრდათ.

1978



## სამაჩაბლო, აფხაზთი

დაჩხევიან ყვავ-ყორნები  
 და რამდენჯერ  
 ბარს დაჰკრავენ,  
 ეპუმშება მიწას გული,  
 საქართველოს –  
 ერთად უდგას,  
 კრწანისი და წიწამური.

1993



\*\*\*

დადის და მწვანე ნაკვალევს სტოვებს  
უხილავი,  
და ოქრონარევ ემბაზში  
ავლებს  
მთებსა და კორდებს,  
სოფელს და დაბას,  
და ტანაშოლტილ შავგვრემან ალგებს  
აცმევს მომწვანო ნაჭრებისგან  
შეკერილ კაბას.

1984



\*\*\*

მარადისობის სიჩუმეს ვერთვი...

ქართულ ცას –

მარად სიმაღლე შვენის...

ზღვისკარად გწევარ და “ათას ერთი  
ლამის ზღაპარს”

კვლავ

მიყვება მთვარე –

გარსკვლავთა ენით.

1959



## ციცინათელები

გულდამბიმებული ჯვრებით და  
ლოდებით,

აქ,

საფლავებია სომხების,

ბერმნების...

და დამის წკვარამში რომ ციმციმებენ,

მიცვალებულთა სულებია –

ციცინათელები,

ისინი თავიანთ მოყვასებს ეძებენ.

1992



\*\*\*

ჩვენთან მეუფობს მზე და მოვარე  
და ვარსკვლავები...  
ყოვნაც...  
არყოფნაც...  
და იმას იქით –  
არავინ უწყის თუ რა არის,  
ვერ წვდება ფიქრი.

1988



\*\*\*

სიხარულისფრად ჰკიდია ბაღ-ვენახს  
ქარვის მტევნები,

ჩემს ქართლში

ვერავინ იხილავს

ბოგანოსა და ამბოკარს,

მთლოდ მაშინ წუხს ტყვიავი,

საგარეჯო და ატენი,

ცა ელგის თითს რომ გამოკრავს

შავ ღრუბლებს სეტყვით დატენილს.

1974



\*\*\*

ჩემი სიცოცხლე,  
 ჩემი სიკვდილი,  
 ტყუპებია და ჩემთან არიან  
 და ჩემს ბედს ალბათ ბევრი შენატრის...  
 რომ ვარ ცოცხალი,  
 ვას უხარია,  
 და მიმწუხრისას მნათობების მინთებს  
 პელაპტრებს  
 და... დილამდე ჩემზე ლოცულობს...

1994



\*\*\*

ქარებით მკლავებდაკუნთულები,  
გამოყვებიან დელვას  
                  ძუნძულით  
და უზარმაზარ ღამეს ათევენ,  
ხოლო დილით კი სადღაც კუნძულთან  
                  ერთმანეთს მედგრად ერკინებიან  
                  ზვირთები –  
                  ზდვების გოლიათები.


1987



\*\*\*

ის შავი ღრუბელი –  
 მაგონებს ნაქურდინს,  
 რვაასი წლის წინ რომ  
 ქართლისკენ  
 მოქროდა...  
 (ქართული მიწა მას არასდროს მოშიგა),  
 მორთული ვარსკვლავთა ბაჯაღლო  
 ოქროთი,  
 ცას მოვარე ჰყიდია  
 თამარის  
 ქოშივით.

1959



\*\*\*

ყოფნას,

არყოფნა უდგას დარაჯად,  
ფრთებს ხან დაკეცავს  
და ხანაც გაშლის  
და წუთისოფელს ზომავს არშინით,  
რომ იბადება,  
რად ტირის ბავშვი?  
იქნე სიკვდილი დგას და აშინებს.

1985



\*\*\*

ზღაპარში ეშვები იალებს –  
 დორმუცლებს,  
 ო, ალბათ მოშივდათ,  
 და დევთა გრგვინგა და გრიალი –  
 ზამთარ და ზაფხულ  
 კვლავ მოისმის, –  
 ჩემი ლექსების ცათამწვდენ კოშკიდან.

1996



\*\*\*

ცაში მნათობი აღარ ჭაჭანებს,  
და მომთავრული  
ერთი ღრუბელი,  
შორს,  
შეხიზნია მთას დარჩელივით,  
და...  
ნაპირს უცებ მოასკდა ტალღა,  
ქარიშხალს ბედად გადარჩენილი.

1965



\*\*\*

მღვრიე არაგვში გუდამაყართან,  
შავი ლოდები წყალში  
ცვივიან,  
მაცილია თუ შიში ქაჯების?!  
თავს ნუღარ იკლავთ!  
წყალიც ციფია!  
მთა კივის არხოტს და ეაჯება...

1979



## ორვეოსის ჩანგი

“სილაში ვარდი და სილაჟვარდე” –  
ჩემმა ქართულმა ცამ  
შეიფერა,  
სიმაღლე უხდება მზითშემოსილს,  
წვიმას რომ გალობს  
შვიდფერად  
ცისარტყელა –  
ჩანგია ორფეოსის.

1958



\*\*\*

გულს მიწვავს ცეცხლი...

და დარდის კვამლი,

ლაუგარდ სივრცეში კვლავ მიირხევა...

სარობს ცა —

ჩემი ფიქრთა საყანე,

ბალახი არა,

შენს ფერხთაქვეშ —

ეს მე ვიხები,

უუმდიბლესი,

რომ გცე თაყვანი.

1971



\*\*\*

ეს რა ზამთარი მოვიდა უცებ,  
ცა ძირს ჩამოდის სულ ფურცელ-  
ფურცელ...  
ამაყად მდგარი ნაძვის ხეები  
მის წინ თავს ხრიან  
სულ თითო, თითოდ,  
ცივა ბელურას და სარკმლიდან უცქერის  
პოეტს  
და... გაბურძგნილ ტანში გრძნობს სიობოს.

1959



\*\*\*

მზე თავს როდესაც ზღვაში დაიხრჩობს,  
 მოვა გრიგალი,  
 გადაუხდის მას პანაშვიდებს,  
 ტალღა დრიალით ცას მიასკდება,  
 და მოვა მთვარეც,  
 აღელვებულ ზღვას დაამშვიდებს,  
 სივრცე, სიჩუმით გაინასკვება.

1959



## მწვხერი

რიდე-მანდილით მოყვებოდა  
სინათლის ბილიკს,  
ნისლებში მძინარ კლდეებს –  
ფრიალოს,  
ჭექას და ჭუხილს,  
კარს მოდგა მწუხერი,  
დრო არს,  
ზენაარს,  
შევეხმიანო...

1989



\*\*\*

გაქრა ყოველი, ვითა სიზმარი,  
ათასნაირად იცვალა ქადრი

და...

ახლა მართობს მუსიკა ბახის,

და

მე ყოველთვის ვიძინებ ადრე,  
ვინ იცის, იქნებ...

სიზმარში გნახო...

1962



## ვორტშნა

გალობას ჩემსას მოვრთავ ლოცვის  
სამკაულებით,  
რომ ცას და მიწას ესმას მათი  
ხმათა

წერიალი...  
სანამდის ჟამი რწმენის ტოტებს დაუწყებს  
სხეპას,  
მანამ ფორტუნას  
ჩემი მუზის მფარველ ღვთაებას,  
ყველა სიმღერას შევწირავ მსხვერპლად.

1992



\*\*\*

შავითმოსილი დედის გოდება,  
 სიხარულის კი არ ჩანს ნასახი,  
 რადგან სიცოცხლის ხელით ანაგებ  
 პირამიდებს თუ მეფის სასახლეს  
 ამქვეყნიური –  
 იდუმალი ძალა განაგებს...

1977



## ტარ-პლარჯეთი

მოველ –

ისევე,

მაგრამ არა ჩანს,

არც ათაბეგი,

არც ერისთავი,

მტერს დადგომია დღეები მარჯვე,

მოუღრეცია აქეთ კისერი,

ცრემლიან ჭანეთს,

ტაოს და კლარჯეთს.

1962



\* \* \*

დღისით მზე მიზის თამადად,  
დამით ვარსკვლავთა მახლავს  
მაყარი,  
რომლებიც ცისქვეშ –  
ასწლეულებს მიაგელვებენ...  
მე დაგატარებ ჩემში სამყაროს –  
აწეული ხელების ბიგელებით.

1977



\*\*\*

წყლიდან უეცრად ამოვიდა  
და სანაპირო  
მხერვალ ქვიშაზე კვლავ  
გაიშელართა  
და იმშრალებს მზით დამწვარ კისერს,  
ზღვა –  
დედაჩემი გამორბის და მხევება  
ჭიშგართან,  
რომ გულში მაგრად ჩამიკრას  
ისევ...

1990



\*\*\*

არ სჭერია ხელში სკიპტრა,  
არ ჰქონია  
ოქროს ტახტი,  
ის ლექსებმა შეინახეს  
და...  
ბოლოს ის ასე გახდა –  
ვარსკვლავთ თანამეინახე.

1994



## ღორჯო

ანგესს მოსხლეტილი ღორჯო,  
შორით გდია ნაპირიდან  
და ფარფლებით თვისტომს უხმობს,  
ლაყუჩს ბერავს და პირიდან  
წყლის წუხილი წვეთავს  
უხმოდ.

1960



\*\*\*

როს მამლების ფრთების ტაშით,  
 შუაღამე რომ ჩაივლის,  
 იქ,  
 მშრომელი გლეხის ნაცვლად,  
 იღებს მთვარის კომბაინი,  
 ვარსკვლავების მწიფე მარცვალს.


1957



## აქ, სადღაც გაღია სამოთხის

წამლად რომ აღარ ჩანს ღრუბელი,  
გავარდეს მები და სული  
რომ აღმომხდეს,  
იქნება ჩემთვის სასურველი:  
აქ,  
სადღაც ბაღია სამოთხის,  
ახლოს მცემს  
ხეების საამო სურნელი.

1990



## შამი ჰყებისა და როპვისა

მარადულამს კამპამა ქართულ ცას,  
 თვალებში მწუხერივით  
 ჩაუქრა ნათელი –  
 უღელტეხილთან როკის,  
 და თუ ოდესმე,  
 დღეს უდგას ქართველებს,  
 “უამი ტყეებისა და როკვის”.

1992



\*\*\*

ამბობ ათასჯერ,

დოცვით დადლილი:

— ამ წუთისოფლის ჩვენ ვართ

მგზავრები,

მაგრამ რას ნიშნავს, არ მეუბნები,

როცა ქალაქში რეკენ ზარები,

თუ რატომ დუმან

გარეუბნები.

1990



\*\*\*

მძინარეს როცა მიუალერსა,  
 ზღვა ქარის სურვილს  
     უცებ მინებდა,  
 და შემოიკრა ღელვის ბაწარი,  
 ტალღას ქვაზე თავს არტყმევინებდა,  
     ქარიშხალს ბევრჯერ  
     მეც წავასწარი.

1985



\*\*\*

ქარი თიბავს ელგის ცელით  
და დგამს ზვინად  
ლრუბლის თივას,  
ბე,  
ოცნების –  
ცა მოკლილი,  
დამეც ფიქრის ტოტზე ვზივარ,  
ცალდაკარგულ ოლოლივით.

1990



\*\*\*

შუაკერის გუნძზე შემოსკუპულა  
ნახშირი,

როგორც ყვავის ბახალა,  
მჭადს გულში იკრავს  
ვევბა კეცი,  
სითბოს და ნათელს იცინის ცეცხლი –  
ოქროსთმიანი მზეთუნახავი.

1975



## ჩემი ეზო მოჰკავს ხომალდს

ალუხის და ატმის ყვავილს  
ჩამოცვენილს –  
ბაღში ბლომად,  
ქარი სადღაც მიაქანებს...  
ჩემი ეზო მოჰკავს ხომალდს  
აკაციის –  
იალქანით.

1967



## ლამე გურიაში

თოვლის ქათქათა ყაბალახით,  
როგორც ფირალი,  
მოულოდნელად შეგვეფეთა  
ნასაკირალი.

1968



\*\*\*

მამულისათვის დაცემულები,  
მკვდრებიც,  
მშობლიურ მიწას ათბობენ,  
რადგან მიჰყვებათ ცეცხლი სამყოფი...  
მთვარე უსინჯავს ნაიარევ მკერდებს  
მნათობებს,  
კით სააკაძე თავის გმირებს –  
კელზე  
მარტყოფის.

1994



\*\*\*

სულ ფერად-ფერად სიზმრებს ხედავენ,  
 უთროთ სილურჯით სავსე  
 გულები...  
 და წყენას წამით არ გაივლებენ,  
 თოვლქვეშ მძინარი  
 გაზაფხულების –  
 სიზმრებია იაიები.

1957



## საქართველო

“ერი გულადი, პურადი,  
მებრძოლი შავი ბედისა!”

გრ. ორბელიანი

კორტნიდა და ძიძგნიდა,  
გუნდი ყვავთა და სვავთა,  
მაინც იყო გულადი,  
წუთისოფლის შხამს სვამდა –  
ყანწითა და კულათი...

1994



\*\*\*

გაზაფხულის მცხუნვარე მზემ,  
 დია ცის ქვეშ გადიწვიძა,  
 სივრცე მაინც ჩაიხუთა,  
 მაშინ ქარმა,  
 ტალღა მკლავზე გადაიწვინა  
 და ცხელ გულში ჩაიხუტა.

1976



\*\*\*

მამა ღმერთმა უცაბედად  
გამოაღო ზეცის კარი  
და გააპო ბნელი ორად,  
იქუხა და...  
ღამემ მთვარე,  
მთის ფერდობზე გააგორა.

1961



\*\*\*

რომ ჩურჩულებენ მწვანე ნაპირთან,  
 მე მესმის ტალღების ენა,  
 და ზღვას როდესაც ეცვლება  
 მხარი,  
 მარჯვენა მიდევს მაჯაზე ქარის  
 და ვაყურადებ –  
 ზღვის მაჯისცემას.

1992



\*\*\*

ასჯერ თქმულით და ასჯერ ნანახით –  
ძველ ლიანდაგზე ერთ დროს  
მავალი,  
ახლა ჩიხში დგას ძველ გაგონივით –  
ზოგი პოეტი –  
სხვათა მკილავი...  
მე, სმენად გიწვევთ, არ გაგონილის,  
ხილვად და მზერად –  
ჯერ უხილავის.

1994



\*\*\*

მიიპარება ხევ და ხევ დამე,  
ვით პეროსტატე,  
აღმოსავლეთის ცის ტაძარს რომ  
ცეცხლი  
შეუნთოს,  
და... იცის “ცოდვას”  
ლმერთი შეუნდობს.

1959



ა. გ.

## ამ წუთისოფლად

ამ წუთისოფლად მზე არ მზეობს,  
ნიჭი არ ნიჭობს,  
ო, ასეთ ყოფნას,  
სიკვდილი გიჯობს,  
ვაჟა ეგრისელო!  
“პოეტო ბიჭო!”

1994



## ნამზები ზამთარში

ძვალ-რბილში ატანთ სიცივე ღამის  
 და კიდევ ცოტა უნდა გაძლება,  
 ხვალ მზე ამოვა და ყინულის წამალს  
 დანაყავს,  
 და ზამთრის ფრთებქვეშ თავდახრილი  
 თეთრი ნაძვები,  
 თავს კვლავ ასწევენ მაღლა ამაყად.

1982



\*\*\*

გათენებას გელოდით ვით დღესასწაულს,  
და მზეს იცინოდა დილა  
(ღმერთო ჩემო,  
დღეს ნუთუ დღეც დაკნინდა),  
დედას ყველი კარდალიდან –  
ამოპქონდა ისე ფრთხილად,  
თითქოს ჩვილი ამოპყავდა აკვნიდან.

1959



\*\*\*

ვინ მოთვლის მღვრიე ათასწლეულებს,  
 რომ ზედ ჩემს გულზე მოედინება,  
 ჩემი სამშობლოს


წარსულივით

მჭმუნვარე

მტკვარი,

რომ ჩემს თვალებში დგას ქართული ციხე  
 ეპლესია  
 მზისა და მთვარის  
 მგალობელ ზარით.

1961



\*\*\*

არ ჩანს,

მაგრამ ოქროს ნისკარტს,

ცას –

მთელი დღე უკაპუნებს

(ხმა კი ზოგჯერ ისმის მეხად),

და ვარსკვლავი წიწილივით

ცის კვერცხს

დამით გამოტეხავს.

1961



\*\*\*

გლეხეცის იმედით ალესილი მთვარე,  
 თითქოს თოხია ოყიანი,  
 ცის ყანა  
 არ ყოფნის ლუკმად,  
 ავ,  
 პი,  
 ვარსკვლავიანს დავცემი  
 ოკეანეს,  
 ვითარცა მსოფლიო რუკას.

1989



## აზერშე შეც ამტანობას

ძაღლი პატრონს ვეღარა ცნობს

და აბეზღებს ადამს

ევა!

არც დვთის შიში,

არც დანდობა,

საქართველოგ!

უძლებ ამდენ ნგრევას...

რბევას...

აფერუმ, შენს ამტანობას!

1994



\*\*\*

დაიკარგა ყველაფერი,  
 ბინდი მოსავს სადამოსი –  
     წვენი ყოფნის ცას  
     გაცრეცილს,  
 არც სინდისი!  
     არც ნამუსი!  
 აღარ დაგვრჩა გასარეცხი.

1995



\*\*\*

ჰეი, ძმობილო!

ძეო ადამის,

აგიპტავს გუდანაბადი და მიხვალ

დასავლით

და მიგაცილებს მოწყენილი დღეების ქორო,


სიკვდილს დაეძებ?

მე მიგასწავლი,

ა, იმ ქორტოხზე,

სასაფლაოს ეზოში ცხოვრობს.

1958



\*\*\*

შეყვარებული ციცქნა ტალღები,  
 ქვიშაზე წერენ სატრფიალო  
 წერილებს –  
 ქაფის,  
 თვალ-ყურს ადევნებს მათ ცელქობას  
 მოვარე –  
 ჭკვიანი,  
 და ახლა,  
 როცა ვეფერები თვალებით ნაპირს,  
 ზღვა ფეხაკრეფით მიდის, მოდის და...  
 ეჭვიანობს.

1961



\*\*\*

ცით გადმომდგარი თეთრი ღრუბლები,  
აში მივიწყებულს პგვანან  
ღვთაებებს,  
მხრებზე აცვივათ შორეული მტვერი  
ქერტლივით,  
დამემ მნათობთა თქმოს ტაქპებს –  
დაუსვა წვიმის მრავალწერტილი.

1958



\*\*\*

შავი ქაღალდი...

შეცხადება აურუოლებს

სოფელს...

კარიდან-კარად ფეხაკრეფით მიმოდის

შიში,

ჩასაფრებულა შავი ლანდი იქ,

მიღმა მესრის,

და... ერთი კვირით გამოდადრაგს მამა

ყელს შიმშილს...

ორმოცდასამში დაკლული ხბოს ბდავილი  
მესმის.

1995



## მემატიანე

ფარაონების

და ხელმწიფეთა

წერს ისტორიას მემატიანე,

ვისი სულები ჩაუქრობელ ომში ტრიალებს,

მათი წარსულის მოჩხოვება მას

ხელეწიფება.

1961



## გოდება

მე მგონია ყოველივე სიზმრად:

როცა ვუმზერ ქვეყნის წვას  
და ქაოსს...

ღმერთს ვავედრებ ხახულსა და ტაოს,


სისხლი გაკლდა განა,

ქართლის მიწავ!

და ან გმირთა სული,

ქართლის ცაო!

1993



## სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ	5
მამული ჩემი	25
კოლხო	26
*** ქამს მიმწუხრისას	27
*** რა იყო ნეტავ	28
ბერი თევდორე	29
*** სისხლით მორწყულ	30
*** მოყვავილე და უსამანო	31
ფესვები	32
*** სადღაც მიიკლაპნება ელვა	33
*** ალბათ მალე ელვასავით	34
*** დილას ტორებს სცემს...	35
თუში	36
*** მოულოდნელად როდესაც წავალ	37
*** წუთისოფლის შხამით ალესილი	38
დიონისე	39
*** სულთამობრძავი ეს საუკუნე	40
*** დამის მიღმა...	41

*** ვარსკვლავთა ნაკვერჩხლებზე .....	42
*** ასევა წუთისოფელი .....	43
*** ღამის ტოტზე შემომჯდარი... .....	44
*** ფერთა მუსიკის იყო მგოსანი .....	45
*** ქვეყნად სიკვდილი არის მეუფე .....	46
*** რწმენის სანოლად ანთებული .....	47
*** ფიფქები .....	48
*** გაზაფხულზე ქართლის... .....	49
დედა ქართლის .....	50
*** მყინვარს .....	51
*** სველი აქვთ კაბების ფოჩები .....	52
*** მშიერ მგლებივით .....	53
*** ღამემ მნათობების... .....	54
*** ვერ შევიტყუე ტაშისკარში .....	55
*** ადიდებული ღამის წყვდიადით .....	56
*** შორს ნუ გგონია .....	57
*** ახსოვს ქართლის ცას .....	58
*** ლეღვის კოცონზე მიფიცხებულს ....	59
*** კუს კი არადა .....	60
*** შენი ცხოვრების გამოქვაბულში .....	61

*** წუთისოფლით ვინც კი ხარობს .....	62
პონტო ევქსინის .....	63
ნასახლარი .....	64
*** პჭვრეტდი სიმაღლეს... .....	65
*** ზღვის ძუძუს წოვდნენ... .....	66
*** ვინ იცის, ეს როდის... .....	67
*** ჯუჯა ხეები და ტანმაღალი .....	68
შემოღვრმის მზე .....	69
*** გადახვეწილან ცხრა ზღვის... .....	70
*** წელამდე თოვლში .....	71
*** ქალწული დილა .....	72
*** ბნელში ნაშობი შენ გერები .....	73
*** ვფიცავ მზეს .....	74
*** ჩამოიქროლებს როცა... .....	75
*** ზღვაო, შენ ჩემო მამულო! .....	76
*** მაღალ დამბაზე მდგარი ეულად .....	77
ზამთრის იდილია .....	78
*** გამოჩნდა გემი... .....	79
*** მიუნდობია წუთისოფელი .....	80
*** როგორც სამყაროს ჭირისუფალი ...	81

PASTORALE .....	82
*** შეშა ცრემლებს ღვრის .....	83
*** აშრიალდება ღამე ტყესავით .....	84
*** ოქროს კბილება ბროწეულები .....	85
*** ელგამ გაბარჯდა ტოტები... .....	86
*** შემოპარულან წლები და... .....	87
*** რაც თავი მახსოვს .....	88
ზევსი და სამელე .....	89
*** ამ უსაშველო წუთისოფელში .....	90
მღვიმეები .....	91
*** გრიგალი .....	92
*** მოძღვარო ჩემო .....	93
*** რომ ყრია მუხის მორები .....	94
წიგნი “იქმენ ნათელი” .....	95
*** თვალი მომეკრა მსურდა... .....	96
*** ამოქლოშინდა მაღალ... .....	97
*** ჩვენც ვეცადოთ... .....	98
ვარძია .....	99
*** შავი ზღვიდან მოტანილი .....	100
გედი .....	101

იასამნების შადრევნები .....	102
ფრთები .....	103
*** შინ არ შემოდის .....	104
*** მას დაუხოცეს სხვებმა... .....	105
*** გულზე აწვებათ დარდი... .....	106
*** პატარა ბორცვზე დარჩენილ... .....	107
*** მტრობა ჩემს ქართულ... .....	108
*** მარად ელვარე კალმის... .....	109
*** მაოტი და მარბიელი .....	110
მდინარეები .....	111
*** ა, იმ მთათა მწვერვალიდან .....	112
*** ზღვად კოდოების დგებოდა... .....	113
*** არა და არა! .....	114
წიგნები... წიგნები... .....	115
*** საბრძოლო ეტლით მოვარდა... .....	116
დავით აღმაშენებელს .....	117
*** დღეცა და ღამეც დასაბამიდან .....	118
მითხარით ზღვებო .....	119
*** ისე .....	120
*** ოქროდ მოჭედილ გზის.. .....	121

*** ცათამდე ამაღლებული	122
გაუა-ფშაველას	123
*** ბრძოლით დაღლილ...	124
მოკოს კატა	125
აფრები	126
*** პოეტთა შორის	127
*** ნუდარ მიელტვით იდეალურს	128
*** რომ ვედარ გაიგოს...	129
*** ხელებგაწვდილი მისტირიან...	130
*** ჩვენს დაუკიტყარ...	131
*** ვერავინ მიაგნო მათ...	132
*** წამოდგებოდა	133
*** იმედებით გაფოთლილი	134
აჲა, ზღვები	135
*** ის პოეზიის ტაძარში მოვიდა	136
აპრილი მთაში	137
*** მოსწყინდა	138
ეგრი და ქართუ	139
მარტყოფი და ტაშისკარი	140
*** ჩამოსულან და...	141

*** არასდროს გვინდობს...	142
*** ცას მოწყვეტილი	143
*** ორბელიანის წიგნის...	144
*** ამ ტიალ წუთისოფელში	145
*** ცხოვრება კი მდორე ზღვაა	146
ვაკ, სოფელო!	147
*** ცივა...	148
წინაპრის ძახილი	149
მითრა	150
*** სანამ ისმის რუსთაველის	151
*** შორით მოვარდნილ...	152
გვალვიანი წელიწადი	153
*** ყველა ერთად ავისრულე	154
*** ჯერ ერთად ვართ	155
*** სამშობლოს მთები	156
*** სიბნელის მიღმა	157
*** მხარზე დავადე მარჯვენა...	158
*** ტანზე ხასხასა მოსავთ...	159
*** ქარი უეცრად მოვარდება	160
*** შუალამისას ცა ნამიანად	161

*** ჩვენს კეთილ	162
*** შორს...	163
*** იცის ხორგამ და იცის...	164
წუთისოფელი ასეა	165
*** დიდხნის არა	166
*** ელვის ფრჩხილებით...	167
*** ბაღად აქციეს უდაბნოები	168
*** რადგან საწუთო არ...	169
*** სამშობლოს ცა	170
*** აღარ შორდება წამითაც	171
*** ბედი	172
მწუხრის გზაზე	173
*** მამულო ჩემო	174
*** მზე ჩაესვენა	175
*** სინათლეჩამდგარ სიშორის...	176
მარადიული ქალაქი	177
*** რომ დახატოს გათენება	178
ნეტავ ვინ იყო	179
*** გამოარღვია საუკუნის...	180
მთიები...	181

*** ქარის ქავქავა რაშებით .....	182
*** ნუდარ შესჩივი ღმერთს .....	183
*** სიცოცხლე ჩვენი... .....	184
სამძიმარი .....	185
*** თავს არწივი დაგვტრიალებს .....	186
აქილევსი .....	187
*** ფრთას გაკრავს ღამის... .....	188
*** ღრუბლებში ღამის შავი... .....	189
*** სადაც დაუკრავდი .....	190
ნადირ შაპი .....	191
*** “ოჯალეში” და “ადესა” .....	192
*** წყალს რომ იღებდი .....	193
*** გადაუქროლებს სივრცეს... .....	194
მესეფები .....	195
*** მაღალ კლდედ ალიმართები .....	196
*** სიმინდებს ტარო დამბაჩებივით.....	197
სამაჩაბლო, აფხაზეთი.....	198
*** დადის და მწვანე... .....	199
*** მარადისობის სიჩუმეს ვერთვი... .....	200
ციცინათელები.....	201

*** ჩვენთან მეუფობს მზე...	202
*** სიხარულისფრად პკიდია...	203
*** ჩემი სიცოცხლე.....	204
*** ქარებით მკლავებ...	205
*** ის შავი ღრუბელი.....	206
*** ყოვნას.....	207
*** ხდაპარში ეშვები იალებს.....	208
*** ცაში მნათობი ადარ...	209
*** მღვრიე არაგვში...	210
ორფეოსის ჩანგი .....	211
*** გულს მიწვავს ცეცხლი.....	212
*** ეს რა ზამთარი მოვიდა...	213
*** მზე თავს როდესაც...	214
მწუხრი.....	215
*** გაქრა ყოველი, ვითა...	216
ფორტუნა.....	217
*** შავითმოსილი დედის...	218
ტაო-კლარჯეთი .....	219
*** დღისით მზე მიზის თამამად .....	220
*** წყლიდან უეცრად ამოვიდა.....	221

*** არ სჭერია ხელში სკიპტრა.....	222
ღორჯო .....	223
*** როს მამლების ფრთების... .....	224
აქ, სადღაც ბაღია სამოთხის.....	225
უამი ტყებისა და როკვისა.....	226
*** ამბობ ათასჯერ .....	227
*** მძინარეს როცა მიუალერსა .....	228
*** ქარი თიბავს ელვის ცელით .....	229
*** შუაკერის კუნძზე... .....	230
ჩემი ეზო მოჰკავს ხომალდს.....	231
დამე გურიაში.....	232
*** მამულისათვის დაცემულები .....	233
*** სულ ფერად-ფერად... .....	234
საქართველო.....	235
*** გაზაფხულის მცხუნვარე... .....	236
*** მამა ღმერთმა უცაბედად .....	237
*** რომ ჩურჩულებენ მწვანე... .....	238
*** ასჯერ თქმულით და... .....	239
*** მიიპარება ხევ და ხევ... .....	240
ამ წუთისოფლად .....	241

ნაძვები ზამთარში.....	242
*** გათენებას ველოდით.....	243
*** ვინ მოთვლის მღვრიე... ..	244
*** არ ჩანს.....	245
*** გლეხეკაცის იმედით... ..	246
აფერუმ შენს ამგანობას .....	247
*** დაიკარგა ყველაფერი.....	248
*** პეტ, ძმობილო! .....	249
*** შეუვარებული ციცქნა... ..	250
*** ცით გადმომდგარი თეთრი... ..	251
*** შავი ქალალდი... ..	252
მემატიანე.....	253
გოდება .....	254

2. December 18



2020.6.

ვაჟა ებრისელი

## გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ  
ტომი 26

VAZHA EGRISELI  
**“KOLKHURI PHSALMUNEBI”**  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 26

გამომცემლობის

რედაქტორი

მხატვარი

მხატვრული რედაქტორი

ტექნიკური რედაქტორი

კორექტორი

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– გალოდი ვოცხიავილი

– სპართაკ ციცაძემ

– ირაკლი უშვერიძე

– ნანა ღუმბაძე

– ვაჟი ოჩიგავა

– ნანა და დათო ყადეაშვილები

გამომცემელი – პაპა ღოლგაია

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. აოლიბაოვსაძის №4. ჭ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com